

## საბა

### საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№ 5  
მაისი  
2007

აღდგომა სამრევლოებში  
პაპის 80 წლისთავი  
ახალგაზრდების შეხვედრა ბზობაზე  
ბერმონაზვნური ცხოვრება  
მჯდომარე ლოცვა

რედაქციის გვერდი

#### აღდგომის შემდეგ

ქრისტე აღდგა! ჰეშმარიტად აღდგა! წლევანდელ წელს ამ სააღდგომო მისაღმებამ, ერთადერთ სააღდგომო სიხარულის ზეიმში გააერთიანა ყველა ქრისტიანი, ისინი, ვინც სასოებენ, რომ სულ მაღლე რეალობად იქცევა აღდგომის ერთად აღნიშნვა, როგორც მრავალი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა ნიკეის კრებიდან მოყოლებული (325წ), ამისათვის საჭიროა სულ პატარა ნაბიჯის გადადგმა. საკმარისია, იულიუსის კალენდრიდან ამოიღონ 13 დღე, რაც მას ასხვავებს გრეგორიანული კალენდრიდან და ყველაფერი თავის ადგილას დაბრუნდება; მაგანი იქნებ შეგვეკამათოს და გვკითხოს, თუკი ასეა, ეს 13 დღე დავამატოთ, რომელიც 1582 წელს ამოიღეს კალენდრიდან? სხვებისთვის სულ ერთია, გაგრძელდება თუ არა ამ ორი განსხვავებული კალენდრის გამოყენება და, მიუხედავად ჩვენს შორის სხვაობებისა, ზოგჯერ ჯიუტად გამოხატული, თითქოსდა მთვარის ციკლი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქრისტეს აღდგომა ხანდახან მაინც ვიზეიმოთ ერთად!

თუკი აღდგომის ყოველწლიური აღნიშვნა ჯერ ისევ გვყოფს, აღდგომის საკვირაო აღნიშვნამ ყველა ქრისტიანი უნდა გააერთიანოს, ვინაიდან ყველა მორწმუნე უსიტყვოდ იდებს იმ ფაქტს, რომ პირველი ქრისტიანული ზეიმი ეს იყო კვირადღე; მისი მრავალმნიშვნელობა და მისი ზეგავლენა ხალხზე და კულტურაზე იმ ფაქტებითაც დასტურდება, რომ მრავალ ენაზე კვირეულის პირველი დღის სახელი სწორედ უფლის აღდგომის ფაქტმა შეცვალა; იგივე მოხდა ქართულ ენაშიც, სადაც კვირეულის პირველ დღეს ეწოდებოდა “პირველ დღე”, ეწოდა კვირა, ბერძნულად Kyros, ანუ უფალი; არა “პირველი დღე”, არამედ უფლის აღდგომის დღე! რა ძლიერ მოწმეობას ვიღებთ თუნდაც ამ ფაქტიდან! საქართველოში, დღეს ყველა ქრისტიანისთვის არსებობს ერთი საერთო დღე, საერთო რწმენის – მკვდარი და აღმდგარი უფლის აღსანიშნავად და ამას ვერაფერი შეცვლის, პირიქით, შეიძლება ჩვენ დაგვეხმაროს შესაცვლელად; იქნებ დირს დასაფიქრებლად ეს ფაქტი, როდესაც კვირადღეს,

ჩვენს ქალაქსა თუ დაბაში სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიაში შემსვლელ და გამომსვლელ ხალხს ვხედავთ? ის, რასაც ამა თუ იმ დროს, განსხვავებული კულტის ადგილებში შევყავართ, არის ერთი და იგივე რწმენა, ერთი და იგივე ნათლობა, ერთი და იგივე ევქარისტია; და თუკი დღეს, ერთსა და იმავე რწმენას განსხვავებულ ადგილებზე ვეზიარებით, სამწუხაროდ, ეს ფაქტი საქართველოში ქრისტიანების განსხვავებულ რწმენაზე მიანიშნებს, რაც არასწორია. თავად სააღდგომო მისალმების არსი შეგვახსენებს ამას: ქრისტე! აღდგა! და ქრისტიანი ვერ იქნება ის, ვინც არ უპასუხებს: ჭეშმარიტად აღდგა!

იქნებ ეკლესიებში, იმის ნაცვლად, რომ ქრისტიანული რწმენის უმთავრეს რეალობაზე იქადაგონ, უფრო მეტად საუბრობენ მარგინალურ საკითხებზე და ფსევდოსასწაულებრივ ქრისტიანულ რწმენაზე (ამის მაგალითია ეგრეთ წოდებული “იერუსალიმის ცეცხლი”), რაც უფრო და უფრო აშორებს ქრისტიანებს ერთმანეთისაგან, იქამდე, რომ მიმართავენ გადანათვლას, კრძალავენ საერთო ლოცვებში მონაწილეობას, მსაჯულობას იქადიან და მორწმუნებს ჭეშმარიტ და ცრუ ქრისტიანებად ჰყოფენ?

უოველი კვირადღე შეგვახსენებს ჩვენი რწმენის ჭეშმარიტად უმთავრეს მხარეებს, და თუნდაც ჯერ ისევ სხვადასხვა ეკლესიებში შევდიოდეთ, მაინც ერთსა და იმავე წყაროს ვეწაფებით. თუკი სხვადასხვა ქრისტიანული საკრებულოს საკვირაო ცხოვრების გაზიარება უფრო მძაფრად განგვაცდევინებს ჩვენს კათოლიკეობას, მართლმადიდებლობას, პროტესტანტობას, ამან არ უნდა დაგვავიწყოს, რომ ჩვენ ყველანი ქრისტიანები ვართ!

ან იქნებ ოჯახზე, სამსახურზე, პოლიტიკაზე, სწავლაზე საზრუნავმა ჩაახშო უფლის აღდგომის უოველკვირეული მოხმობა? ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ კვირა ეს არის დღე, რომელიც ყველაზე მთავარს შეგვახსენებს ჩვენს ცხოვრებაში, გვეხმარება ყველაფრის მოწესრიგებაში, რომ მეტი უურადღება მას არ დაგუთმოთ, რაც ნაკლებ საყურადღებოა!

ალბათ, გაგვიჭირდება უოველწლიური აღდგომის ერთად აღნიშვნა, თუკი არ შევაფასებთ იმ სიმდიდრეს და შესაძლებლობებს, რაც უკვე არსებობს აღდგომის უოველკვირეულ აღნიშვნაში!

სასიხარულო იყო აღდგომის დღეებში მასმედიის მხრიდან გამოხატული ინტერესი სხვადასხვა ქრისტიანული ტრადიციით აღდგომის აღნიშვნის ფორმაზე, და არ შეიძლება ამით მადლიერი არ დარჩეს; ამ სიხარულმა კიდევ უფრო შეგვაგულიანა, რომ წავსულიყავით ჩვენ-ჩვენს კათოლიკურ სამრევლოებში და მოგვეხმინა: “ჩვენი ეპისკოპოსი ვნახეთ ტელევიზორში”; მაგრამ აქვე ესეც უნდა ვიკითხოთ: გასაგებად იქნა გადმოცემული ამ აღნიშვნის არსი თუ მარგინალურ, უფრო ფოლკლორისტულ მხარეზე შეჩერდნენ; ან როგორ შეძლეს იმ რეპორტაჟების გაერთიანება, სადაც საუბრობდნენ საბრძოლო სარეზერვო წვრთნებზე, ომებზე, შესაძლო მტრის განადგურების მზადყოფნაზე აღმდგარი იქსო ქრისტეს მისალმებით, რომლის პირველი სიტყვაც სიკვდილისა და აღდგომის შემდეგ გახდდათ: “მშვიდობა თქვენდა”?

ცხადია, კიდევ უფრო კარგი იქნება თუკი მასმედიის მხრიდან მომავალში უფრო მეტი უურადღება დაეთმობა ქრისტიანთა საკვირაო აღდგომას; მაგრამ ამაზე არაფერი ისმის; სინამდვილეში, ეს მასმედიის უყურადღებობა კი არა, ყველა ქრისტიანის მოვალეობა უნდა გახდეს, რათა მათი ყოფნა სამყაროში

მრავლისმეტყველი და მიმზიდველი იყოს, და არა მხოლოდ ერთხელ წელიწადში, არამედ ყოველდღიურად, კვირადღის ქრისტიანული სულის გადმოსაცემად.

## მამა გაბრიელე ბრაგანტინი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

### კათოლიკე ეკლესია ჩინეთში

ჩვენს ყოველთვიურ მიმოხილვებში დროდადრო ვეხებოდით ხოლმე კათოლიკე ეკლესიის მდგომარეობას ჩინეთში. არაერთხელ აღნიშნეთ, რომ, ერთი მხრივ, ვატიკანსა და ჩინეთის ხელისუფლებას შორის სერიოზული სირთულეები არსებობს, მაგრამ, მეორე მხრივ, იმასაც მივუთითებდით, რომ ჩინური კათოლიკური თემი საკმარის მზარდი და კომუნისტური რეპრესიებისადმი საოცრად უდრევია. თუმცა უკანასკნელი პერიოდის მოვლენებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სწორედ ამის გამო ეს მიმოხილვა მთლიანად ჩინეთის კათოლიკურ თემს გვსურს მივუძღვნათ.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ჩინეთს მოქცევის ახალმა ტალღამ გადაუარა – ადდგომის დამეს ათასობით ადამიანი მოინათლა. იმასაც აღნიშნავენ, რომ დღეს მთავარი პრობლემა ნათლიათა არასაქმარისი რაოდენობაა. ჩინელ კათოლიკეთა მიმართ პაპის მიმართვის მოლოდინში პატრიოტულმა ასოციაციამ, რომელიც ჩინეთის კომპარტიის რეპრესიულ ორგანოს წარმოადგენს რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, პეტეისა და უეიანძის პროვინციებში ქრისტიანთა დევნა დაიწყო. მიუხედავად ამისა, მოქცეულთა რაოდენობა შთამბეჭდავად იზრდება. პეკინში, ქრისტემაცხოვრის ტაძარში აღდგომის დამეს 180 ადამიანი მოინათლა, წმ. იოსების ეკლესიაში – 100, ხოლო წმ. მიხეილის საკრებულოში, სადაც მრევლის უმეტესობა, ძირითადად, კორეული წარმოშობისაა – ასზე მეტი. ბევრი მოინათლა, აგრეთვე, იატაკქვეშეთის ეკლესიაშიც.

აქ ვსარგებლობ შემთხვევით და მკითხველს შევახსენებ, რომ ჩინეთში არსებობს ორი – იატაკქვეშეთისა და ოფიციალური – ეკლესია. ოფიციალური ეკლესია, ძირითადად, სახელმწიფოს მიერ პატრიოტული ასოციაციის საშუალებით კონტროლდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, რომის ეკლესიის უზენაესი პონტიფექსი და ჩინეთის ხელისუფლება თანხმდება ხოლმე ამა თუ იმ ეპისკოპოსის ხელდასხმაზე. ამჟამინდელი სტატისტიკის თანახმად, რომელიც, აქვე შევნიშნავთ, რომ ზუსტი ნამდვილად ვერ იქნება – ოფიციალური ეკლესიის მრევლი, დაახლოებით, 60 მილიონი ადამიანია. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ იატაკქვეშეთის ეკლესიის ზუსტი სტატისტიკა, ცხადია, საერთოდ არ არსებობს. თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მრევლის რაოდენობა რამდენიმე მილიონი უნდა იყოს. ცხადია, ჩინეთის მოსახლეობის მთლიანი რაოდენობის ფონზე (1 მილიარდი და 200 მილიონი), ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ კათოლიკური მრევლი საოცარი დინიმიკით იზრდება.

სწორედ ამიტომ, როგორც უკვე აღინიშნა, ნათლიათა მოძიება საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. მიმომხილველები მიუთითებენ, რომ მხოლოდ პეკინში 20 ახლად მონათლულზე მხოლოდ ერთი ნათლია იყო. მსგავსი

მდგომარეობაა ჩინეთის სხვა დიდ ქალაქებში – შანხაიში, გუანჯუში, ჩენდუში, ციანში, ციამენსა და შენუენში.

ჩინეთში მოღვაწე კათოლიკე ეკლესიის მდგდლები და სემინარიის პროფესორები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ჩინური საზოგადოება ძალიან მატერიალისტურია, ინდვიდუალიზმი და სხვა ადამიანისადმი ინდიფერენტულობა – საკმარის საგრძნობია, მომავალი – გაურკვეველი, გარე სამყარო – უცხო და მტრული... ეკლესია, როგორც აღნიშნავენ, უპასუხებს ამ ადამიანების “გულში ჩამარხულ მდუმარე ტკივილს, რწმენისა და ღმრთის ძიების წყურვილს, რომელიც ასე თვალში საცემია თანამედროვე ჩინეთში”.

მონათლულთა შორის ბევრია მატერიალურად სრულიად უზრუნველყოფილი ადამიანი, რომელიც მაღალ სოციალურ ფენებს ეკუთვნის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები, თითქოს, სოციალურად დაცულნი არიან და კომფორტულად ცხოვრობენ, მათ მაინც უკმარობის გრძნობა მსჯვალავთ. “მხოლოდ ქრისტიანობას ძალუმს ჩემი სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება”, – განაცხადა ინტერვიუში ერთმა მათგანმა.

ახლად მონათლულთა შორის უნივერსიტეტების პროფესორები და სტუდენტებიც არიან. მათთვის უცხო არაა ცხოვრების საზრისზე განსჯა და რეფლექსია. ისინი პატივს სცემენ როგორც ბუდიზმს, ისე დაოს მოძღვრებას, მაგრამ ოდენ ქრისტიანობაში იპოვეს პასუხები იმ კითხვებზე, რომლებთანაც ისინი მეცნიერულმა თუ რაციონალურმა მსჯელობამ მიიყვანა.

ახლად მონათლულთა შორის ბევრია, აგრეთვე, დარიბი და იმიგრანტი. ისინი ძირითადად ახლგაზრდები არიან, რომელნიც სამუშაოს საძებნელად ქალაქებში უდარიბესი პროვინციებიდან და სოფლებიდან ჩამოვიდნენ. ჩინური ეკონომიკის სამყაროში მათ ისე უქცევიან როგორც მონებს, უხდიან ცოტას ან, საერთოდ, არ უხდიან და არალეგალურად ამუშავებენ. ამ ყველასაგან დავიწყებულთ და ჩაგრულთ დახმარების ხელს ეკლესია უწვდის.

სოციალურად არაუზრუნველყოფილ თანამედროვე ჩინური საზოგადოებაში კათოლიკები ეხმარებიან როგორც ობლებს, ისე მოხუცებს, უპოვართ და ავადმყოფებს. ჩინური კომუნისტური ხელისუფლება კათოლიკე ეკლესიის ამ ინიციატივებს კეთილგანწყობით ეგებება, რადგანაც ეკლესია (ოფიციალურიცა და არაოფიციალურიც) იმ ფუნქციას ასრულებს, რისი შესრულებაც სახელმწიფოს საკუთარი ძალებით ნამდვილად არ ძალუმს.

მაგრამ ყოველივე ამის პარალელურად საკმარის გახშირდა სასულიერო პირთა დაპატიმრებები და დევნა. ბოლო თვეების განმავლობაში დააპატიმრეს რამდენიმე დიოცეზის მღვდლები. განსაკუთრებულული რეპრესიები, როგორც უკვე აღინიშნა, პეტენისა და უეიანინის პროვინციებში შეინიშნება. ამჟამად იატაკებებეთის ეკლესიის 17 ეპისკოპოსი და 20 მღვდელი დაპატიმრებულნი არიან. ბევრ მათგანს რამდენიმე წლის პატიმრობაა აქვს მისჯილი. ოფიციალური და იატაკებებეთის ეკლესიები ერთხმად აღნიშნავენ დევნისა და რეპრესიების გაძლიერებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან, ექსპერტთა შენიშვნით, ისიც გამომდინარეობს, რომ ჩინეთში ეკლესია, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ერთიანია და რეპრესიებს სულაც არ უფრთხის.

საუკუნოვანი მარტილობის შემდეგ ეპლესია ჩინეთში ისე ძლიერი და ცოცხალია, როგორც არასდროს. სამღვდელოთა რიცხვი განუწყვეტლად მატულობს. მღვდელთა საშუალო ასაკი 34-35 წელია. მიუხედავად ოფიციოზის მხრიდან აკრძალვისა, იფურჩქნება სამონასტრო ცხოვრება – სასულიერო პირები ერთად იკრიბებიან და სამონასტრო ცხოვრების წესებს იცავენ.

დაბოლოს, ჩინეთის კათოლიკური თემი ჩვენთვის – საქართველოს კათოლიკებისათვის – ნამდვილად სამაგალითო უნდა იყოს. ეპლესიისაგან უნდა ვითხოვდეთ არა სოციალურ პრესტიჟს, არამედ – ჭეშმარიტ სულიერ ცხოვრებას.

## იაკობ დუმბაძე

კათოლიკე ეპლესია საქართველოში

### გამორჩეული დღე

თბილისში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, საზეიმოდ აღინიშნა რომის პაპის ბენედიქტე XVI-ის დაბადებიდან 80 და წმინდა ტახტზე აღსაყდრების 2 წლისთავი.

16 აპრილს თბილისის წმიდა მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, საქართველოში წმიდა საყდრის ელჩმა, მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ, ამ თარიღებთან დაკავშირებით წმინდა წირვა აღავლინა. მონსინიორ გუჯეროტისთან ერთად თანამწირველები იყვნენ: სამხრეთ კავკასიაში კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, სომხური წესის კათოლიკური არჩეული ეპისკოპოსი ემანუელი, ასირიულ-ქალდეური წესის კათოლიკური საკრებულოს წინამდგარი საქართველოში ბენიამინ ბენ-იადაგარი და საქართველოში მოღვაწე სასულიერო ორდენებისა და საკრებულოების მღვდელმსახურები.

მსახურება გამორჩეული გახლდათ იმ გარემოებითაც, რომ მას დაესწრო საქართველოში ხანმოკლე ოფიციალური ვიზიტით მყოფი პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი. რომელმაც, ვიზიტის ერთობ გადატვირთული პროგრამის მიუხედავად, გამონახა დრო, რათა მოსულიყო ტაძარში და დმრთისმსახურებაში მონაწილეობით გამოეხატა თავისი დრმა პატივისცემა წმინდა მამისადმი.

კათედრალში აღვლენილ წმინდა წირვას დაესწრენ საქართველოს პარლამენტის და მთავრობის წევრები, სხვადასხვა ქვეყნების ელჩები, რელიგიური და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თბილისის კათოლიკური საკრებულოების წარმომადგენლები.

სიტყვის ლიტურგიის შემდგომ, კათედრალში შეკრებილ საზოგადოებას ქადაგებით მიმართა მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ (მის ქადაგებას ქვემოთ შემოგთავაზებოთ).

საქართველოში მოქმედ სხვადასხვა წესის კათოლიკურ საკრებულოთა წარმომადგენლების მიერ ქართულ, ინგლისურ, ასირიულ, რუსულ და სომხურ ენებზე აღვლენილ იქნა სავედრებელი ლოცვები. ხოლო მთელი მსახურების

განმავლობაში კი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ კათედრალისა და ასირიულ-ქალდეური საკრებულოს მგალობელთა გუნდები.

წმინდა წირვის შემდგომ, საქართველოში წმიდა საყდრის ელჩის, კლავდიო გუჯეროტის, მიერ “ქორთიარდ მერიოტში” გაიმართა მიღება. ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანისა და საქართველოს სახელმწიფო პიმნების შესრულების შემდგომ მიღებაზე მონისიორ გუჯეროტმა მოკლე მისალმებით მიმართა საზოგადოებას, შემდგომ კი წარუდგინა საქართველოს საპატიოარქოს ხატმწერი ბატონი ამირან გოგლიძე, რომლის დაწერილი ხატიც ამშვენებდა წმ. პეტრეს ბაზილიკას მაცხოვრის ადდგომის მსახურებისას. ქართველი ხატმწერი თავად რომის პაპმა ბენედიქტე XVI-მ მთელ ქრისტიანულ სამყაროს გააცნო როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ხელოვანი, რომლის ნამუშევრებიც კარგა ხანია ამშვენებს ვატიკანს.

დარბაზობაში მონაწილეობდნენ მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, დელეგაცია საქართველოს საპატიოარქოდან, ასევე, საქართველოში მუსლიმთა და ოუდველთა რელიგიური ორგანიზაციების სულიერი ლიდერები, სხვა უცხოელი სტუმრები.

დარბაზობის დასასრულ ვატიკანის ელჩის სახელით უკელა მოწვეულ სტუმარს ამ დირსშესანიშნავი დღის სამახსოვროდ, საჩუქრად გადაეცა ცნობილი იტალიელი ფოტოგრაფის ჯულიერმო ლუნას მიერ საქართველოში შესრულებულ მხატვრულ ფოტონამუშევართა ალბომი, რომელიც სპეციალურად ამ დღისათვის გამოსცა წმინდა საყდრის სადესპანომ. ეს მშვენიერი ფოტოალბომი სახელწოდებით „ფრაგმენტები”, მისი უწმინდესობის, რომის პაპ ბენედიქტე XVI-ის, დაბადების 80 წლისთავს ეძღვნება.

### ნუგზარ ბარდაველიძე

თქვენო უსამდველოებობავ, ეპისკოპოსო ჯუზეპე,  
თქვენო უსამდველოებობავ, არჩეულო ეპისკოპოსო ემანუელ,  
რელიგიურ კონფესიათა ძვირფასო წარმომადგენელნო,  
პატივცემულო სამოქალაქო ხელისუფალნო,  
დიპლომატიური კორპუსის წევრებო,  
ძვირფასო მდვდლებო და ბერ-მონაზვნებო,

დღეს აქ შევიკრიბეთ, რათა მადლობა ვუძღვნათ უფალს, რომელმაც გვიწყალობა პაპ ბენედიქტე XVI-ის პიროვნება, მისი ძალისხმეული ეკლესიისა და კაცობრიობის სასიკეთოდ, მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა, სამწესო საქმიანობა, მისი პასუხისმგებლობა, როგორც პაპ იოანე პავლე მეორის ოანამრომლისა და ამჟამად რომის ეპისკოპოსისა, ეკლესიის უმაღლესი მდვდელმთავრისა და მსოფლიო მამისა.

მსურს მოკლედ შევეხო იმ ორ თემას, რომელზეც დღევანდელი წმინდა წირვის პირველ და მეორე საკითხავში იყო საუბარი.

პირველ საკითხავში მოვისმინეთ, რომ ქრისტეს მოწაფენი ხელისუფალთა მხრიდან სასტიკ მოპყრობას წააწყდნენ. რა შესთხოვეს დამწუხებულმა მოციქულებმა უფალს? მათ სთხოვეს დმერთს მოევლინა მათთვის “თავისუფალი ენა”, რაც მიეცათ კიდეც სული წმიდის მეშვეობით. ტექსტში საამისოდ სპეციალური ტერმინია გამოყენებული – “პარესია” (“parrhesia”), რომელიც

ბერძნულ ენაში მეტად მნიშვნელოვან ცნებას გამოხატავს. იგი შედგება სიტყვებისაგან “პან” და “რემა” და ნიშნავს “ყველა სიტყვას”. ანუ, ამგვარად მეტყველი ადამიანი, მონა კი არა, თავისუფალი პიროვნებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთი ადამიანი, კაცი იქნება თუ ქალი, წელში გამართული დგას და მოსაუბრეს თვალს უსწორებს. დიახ, მოწაფენი უფალს მათ დაცვას კი არა, თავისუფალი ადამიანის შესაფერ ქცევას სოხოვენ, იმას, რომ შეეძლოთ ყველა სიტყვის თქმა, არ ეშინოდეთ სიმართლის თქმისა, განურჩევლად თანამოსაუბრის პიროვნებისა თუ ძალაუფლებისა, რამეთუ ყოველი ძალაუფლება ღმერთისგან მომდინარეობს. მორწმუნეს ვერავინ წაართმევს ამ “პარესიას”, ვერც პოლიტიკური და ვერც თუნდაც რელიგიური სისტემა. ქრისტიანი ვერასოდეს მიიჩნევს ადამიანურ სისტემას ღმრთის სასუფევლად, რადგან ღმრთის სასუფევლი ზემოდან ბოძებული საჩუქარია. მიწიერი სისტემა სრულყოფილად ვერასდროს დაემთხვევა უფლის ნებას. ქრისტიანი ყოველთვის კრიტიკული თვალით აფასებს ყოველივეს, არა იმიტომ, რომ ურწმუნო ან მუდამ უკმაყოფილოა, არამედ იმიტომ, რომ მისი მზერა ზეციური იერუსალემისკენაა მიპყრობილი, ერთადერთი ქალაქისაკენ, რომელიც შეესაბამება ღვთაებრივი სიყვარულის გეგმას, უფალმა რომ სამყაროს შექმნისას ჩაიფიქრა. ქრისტიანი პირში ვერავის შესცინებს, როცა სამართლიანობა ფეხქვეშ ითელება. მას ყოველთვის თავისი მოსაზრება აქვს, რომელსაც არასდროს მალავს. ამიტომაცაა, რომ ქრისტიანი ბოლომდე არცერთ სოციალურ სისტემას არ უყვარს. მას ოდითგანვე სდევნიდნენ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მეფე ღმერთად აცხადებდა თავს. ქრისტიანის თავისი რწმენა ავალდებულებს განაცხადოს, რომ ღმერთი ერთია და მეფენი მას მორჩილებენ.

მეორე საკითხავში კი ადამიანს მეფის შიში აქვს. მას ჯერ კიდევ არ აქვს “პარესია” და ამოტომაც ქრისტესთან დამით მიდის, რათა არავინ შენიშნოს. იქსო მას ეუბნება, რომ თუ ღმრთის სასუფევლის ხილვა სურს, იგი ზემოდან უნდა იშვას. კი, მაგრამ ხელმეორედ როგორდა უნდა იშვას? პირობა ასეთია, ამბობს იქსო. ეს კი წყლისა და სულის საშუალებით ხდება, რაც პირდაპირი მინიშნებაა ნათლობასა და მის მნიშვნელობაზე. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ თუ ღმერთის სულმა მოლიანად არ განაახლა ადამიანი შიგნიდან, მისი აზროვნება და ქმედება ვერასოდეს გახდება ჭეშმარტად ადამიანური. იგი მუდამ ცრურწმენების და გაცვეთილი აზრების ტყვეობაში დარჩება, გადაიქცევა თავისი კულტურისა და პირადი საფიქრალის მონად.

როცა ქრისტიანის სხეულში სული სუნთქვავს, იგი ქარს ემსგავსებაო, ამბობს იქსო. “ქარი იქ დაჰქრის, სადაც მოისურვებს; მისი ხმა გესმით, მაგრამ ვერავინ იტყვის, საიდან მოდის ან საით მიდის. ასევე ყოველივე სულით ნაშობი”.

აქ ნახმარია ტერმინები “pothen”, ანუ “იქიდან” და “rou”, ანუ “აქედან”. ხალხი იქსოს შესახებ ამბობს: ვიციო ვინ არის, სადაურია, ვიცნობთ მის ნათესავებს. აქედან კი რა დასკვნას აკეთებენ? იგი არ შეიძლება ღმერთი იყოს, ის ხომ ესოდენ ადამიანურია, ესოდენ ისტორიული. იქსომ კი გვიჩვენა, რომ ისინი ცდებოდნენ, რადგან მასში იყო რაღაც იდუმალი, რაც ხალხმა ვერ ამოიცნო. სულით შობილი ადამიანი ამოუცნობია. არავინ იცის, საიდან მოდის ან საით მიდის. ამას თავისუფლება ჰქვია. სოფელს სურს, რომ ეკლესია და ქრისტიანნი ამოცნობადნი იყვნენ. მაგრამ ქრისტიანს ბოლომდე ვერ ამოხსნი,

რადგან იგი კანონის კი არა, სულის მიმდევარია. ადამიანებისადმი თუ კითარებებისადმი მისი დამოკიდებულება ყოველთვის სხვადასხვაგვარია, რადგან თვით ადამიანები და კითარებებია განსხვავებული. ქრისტიანი თეორიულ სისტემათა ტყვე როდია, არამედ ძეა ცოცხალი დმერთისა. მისი მზერა იქსოსკენ – ხორცშესხმული დმრთისკენაა მიმართული; და როცა იქსომ უჩვენა ხალხს, თუ როგორ მოქმედებს დმერთი ისტორიაში, მათ იგი ჯვარზე გააკრეს. ხალხმა ვერ იგუა ესოდენ ადამიანური დმერთი, მოლაპარაკე და ცოდვილებთან პურის გამტეხი, დამოწმებელი სიყვარულისა და მიტევებისა, თუნდაც მრუშობისათვის ჩასაქოლად განწირული ქალისა თუ წარმართისადმი.

დმერთს შევთხოვთ “პარესიას”-ს, ანუ “ყველა სიტყვას” ბენედიქტე XVI-სა და ყველა ქრისტიანისთვის, არა იმიტომ, რომ ვამოთ ან სალბუნად დაგეფინოთ მსმენელის ყურს. შევთხოვთ უფალს, რომ სული წმიდის მეშვეობით, დმერთივით ამოუცხობით ვიყოთ, რამეთუ არავინ უწყის, საიდან მოდის და სად მიდის. ადამიანი უფლისეული სიყვარულის საიდუმლოდან მოგვევლინება და მისივე ნების საიდუმლოში უჩინარდება.

ცნობილი ბიზანტიური საგალობელი “დაუჯდომელი” მარიამ ღმრთისმშობელს უწოდებს “კაცობრიობის მიერ ღმრთისადმი ნათქამ თავისუფალ სიტყვას”. აქაც გამოყენებულია ტერმინი “პარესია”. მან, ქალმა, შვა განკაცებული დმერთი. არავინ იცის, როგორ ან საიდან შესძლო ეს. მაგრამ ამის წყალობით ადამიანს, რომელიც მანამდე თვალსაც ვერ უსწორებდა დმერთს, ძალუქს თავისუფლად ესაუბროს უფალს და მას “მამა” უწოდოს.

დაე, მარიამმა, ქალმა “პარესიისა”, შესთხოვოს თავის ძეს მაჰმადლოს პაპსა და ყველა ჩვენგანს ეს უკიდებანო თავისუფლება – ჩვენი ძალა ჩვენსავე სისუსტეში. ამინ.

### წმ. იოსების დღესასწაული არალში

სოფ. არალი სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, მესხეთის ერთ-ერთი კათოლიკური სოფელია. მოსახლეობა ადგილობრივია და დაახლოებით 800-ზე მეტი კომლი ცხოვრობს. ისტორიულად, ეს ერთი სოფელია ადიგენის რაიონში, სადაც ოდითგანვე ქრისტიანი ქართველები ცხოვრობდნენ გამაჰმადიანებული ქართველებით გარშემორტყმულნი.

სიტყვა „არალ“ – თურქულად ნიშნავს კუნძულს და ერთ-ერთი ვერსიით ვარაუდობენ, სოფელს სწორედ იმიტომ დაერქვა ეს სახელი, რომ არალი იყო „კუნძული“ მაჰმადიანი მოსახლეობის შუაგულში.

არილს ტერიტორიაზე რამდენიმე ეკლესიის ნანგრევია, მათ შორის აღმართულია შედარებით ახლად აშენებული (1864 წ.) ეკლესია, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში ამოქმედდა, დღეს იგი წმ. იოსების სახელს ატარებს და ყოველი წლის 19 მარტს სოფლის მრევლი დიდი ზეიმით აღნიშნავს ამ ეკლესიის დღესასწაულს.

კათოლიკე ეკლესიის სინოდის შემდგომ გზაზე, პირველობა ეკლესიათა დღესასწაულებს შორის, ჩვენს ეკლესიას ხვდა.

დმრთის ნებით, ეს დღესასწაული საუკეთესოდ ჩატარდა, რადგან პირველად იყო, რომ წმ. იოსების სახელობის ეკლესიის დღესასწაული სოფლის მოსახლეობის უმეტესობამ ერთსულოვნად იზეიმა მრავალრიცხოვან სტუმრებთან

ერთად, რომლებიც არასოდეს გვივიწყებენ და ყოველთვის იზიარებენ და ავსებენ ჩვენს სიხარულს.

მიუხედავად გაზაფხულის დღეებისა ციფი, სუსტიანი ქარი ქროდა. ახალციხის, ივლიტის, ვალეს, აბასთუმნის, უნწის, ბენარისა და უდეს კათოლიკური საკრებულოებიდან მრავალი სტუმარი გვეწვია. მათ ტრადიცია არ დაარღვიეს და სუსტიან ამინდში ფეხით მოილოცეს არალის ეკლესია.

თბილისიდან გვეწვივნენ ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო; მონაზვნები სხვადასხვა სასულიერო კონგრეგაციებიდან; ხიზაბავრის ეკლესიის მოძღვარი, მამა ზიგმუნდი; ახალციხის, ივლიტისა და ვალეს ეკლესიების მოძღვრები მამა ზურაბი და მამა არტური; კამილიელთა ორდენიდან მამა პავლე, ძმა რობერტო, რომელმაც ჩამოიყვანა „წმ. კამილოს საერო ოჯახის“ ინვალიდი ბავშვები, ყველაზე საპატიო სტუმრები, ზოგნი ინვალიდის ეტლებით, სხვანი კიდევ ხელით. ისინი ჩვენში ნამდვილ ადამიანურ გრძნობებს აღვიძებენ, პატარებში კი – დიდ, შიშნარევ ინტერესსა და მრავალ კითხვებს ბადებენ. ამ კითხვებზე პასუხი კი დედებმა მხოლოდ სიყვარულის დიდი განცდით უნდა აუხსნან. მათი ჩვენთან ყოფნა ღმრთის მიერ გამოვლენილი ერთ-ერთი ნიშანია იმისა, რომ არ დავივიწყოთ ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანური ღირსება – დავინახოთ ღმრთის ხატება იმ ადამიანებში, რომნებისაც ხელ-ფეხი „დალურსმული“ აქვთ და სურთ ჩვენი ხელებით და ფეხებით აკეთონ სასიკეთო საქმე. შეიძლება ჩვენი სიყვარულით აღსავსე წამიერი მზერა და უურადღება უაღრესად მნიშვნელოვანი იყოს მათვის.

ადსანიშნავია, რომ ჩვენ უფრო მეტ სტუმარს ველოდით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან: კახეთიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან... მაგრამ ჩვენ დრმად გვწამს, რომ ისინი სულიერად ჩვენთან იყვნენ და მომავალ ში აუცილებლად შეძლებენ ჩვენი ზეიმის ჩვენთან ერთად გაზიარებას.

19 მარტს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დატვირთვაც ჰქონდა: ამ დღეს უამრავი მორწმუნებულების მირონცხებისათვის ემზადებოდა, ეზიარა ამ საიდუმლოს. ეს საოცარი განცდაა, როცა ორმაგად ბედნიერად გრძნობ თავს, ცხადად გრძნობ სული წმიდის დიდ სიყვარულს, ელოდები მრავალ სიხარულს და ამ გრძნობებით მოგვრილი ცრემლებით დიდ მაღლერებას გამოხატავ ადამიანებისადმი ღმრთის ამ განუზომელ სიყვარულზე.

დასასრულ, კარგი იქნებოდა, აღსრულებულიყოს მეუფე ჯუზეპეს სურვილი, რომ მომავალ წელს წმ. წირვაზე მამაკაცებიც იხილოს, რადგან ეს დღე უფრო მეტად მათი დღესასწაულია.

## თეონა ტატალაშვილი

### აღდგომა ოზურგეთის საკრებულოში

მრავალი წლის განმავლობაში ოზურგეთში არ იყო კათოლიკე მდგრელი. 1998 წელს ღმრთის წყალობით ჩვენთან ჩამოვიდა მამა გაბრიელე ბრაგანტინი და ოზურგეთის საკრებულომაც დაარსება დაიწყო. მამა გაბრიელე ხალხს ამზადებდა წმ. საიდუმლოებების მისაღებად. მან სწრაფად მოიპოვა ხალხის ნდობა და სიყვარული. სათანადო მომზადების შემდეგ, საკრებულოს ერთ-ერთი წევრის სახლში წმიდა წირვაც ჩატარდა. ეს ყველა ჩვენგანისათვის ნამდვილი ზეიმი და სასწაულის ტოლფასი იყო.

ერთხელ მამა გაბრიელემ ჩვენი საკრებულოს წევრები ბათუმის ეპლესიაში მიგვიწვია. სწორედ ამის შემდეგ გაგვიჩნდა სურვილი ოზურგეთშიც აგვეშენებინა ეპლესია. ამასობაში მრევლი იზრდებოდა სულიერად და რიცხობრივადაც. ქრისტესთან თანაზიარებაში ყოფნა დიდ სიხარულს გვანიჭებდა.

მრავალი სირთულის შემდეგ, ოზურგეთის საკრებულოს ოცნება აუხდა და 2007 წლის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს საკუთარ ეპლესიაში შევხვდით. სააღდგომო წირვა მამა გაბრიელემ აღავლინა შაბათ დამეს: წირვა ცეცხლის კურთხევით დაიწყო, რომელიც ეპლესიისაკენ მიმავალი პროცესიაში გადაიზარდა. ეს იყო ულამაზესი და სულისშემძღვრელი სანახაობა, რამაც ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. ღმრთის მადლით, სააღდგომო წირვაზე ჯვრისწერისა და ნათლობის საიდუმლოებებიც აღსრულდა. რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მიიღო ზიარების საიდუმლოება. ყველას ისეთი გრძნობა დაგვეუფლა, თითქოს დროში 2000 წლით უკან გადავინაცვლეთ და მოციქულებთან ერთად ვიხილეთ უფლის აღდგომა. ამ დღესასწაულმა მრავალს გაუხსნა გული და გაუდვივა რწმენა.

თარზიან გარდუ

## სააღდგომო სამზადისი წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეპლესიაში

საინტერესო სიახლით აღინიშნა წლევანდელი ბზობა ჩვენს ეპლესიაში. პირველად თბილისის კათოლიკურ ტაძარში იქსოს ვნების ლიტურგია გალობით შესრულდა, სამი სოლისტისა (მამა ადამ ოხალი, გუნდის სოლისტი – ნინო ასპანიძე და სემინარისტი – კირილ ბორევიჩუკი) და გუნდის თანხლებით. „ვნების“ ლიტურგიის ნოტები მამა ადამს პოლონეთიდან გამოუგზავნეს, მაგრამ დაგვიანებით. ამიტომ სოლისტებს მის მოსამზადებლად მხოლოდ ორი კვირა დარჩათ, გუნდს კი – ერთი. რომ არა გუნდის ხელმძღვანელის, კარინა ოსიპოვას დიდი პროფესიონალიზმი და მონდომება, აღბათ, ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდებოდა.

თუ გავითვალისწინებოთ ამ ნაწარმოების სიახლესა და სირთულეს, იმას, რომ ნაწარმოები სრულდებოდა აკომპანიმენტის გარეშე და ახლადჩამოყალიბებული გუნდის წევრების გამოუცდელობას, ძალიან მკაცრები ნუ ვიქნებით შესრულების ხარისხის შეფასებაში. ერთი რამ ცხადია: შემსრულებლებმა მასში ჩადეს თავიანთი სული, დიდი მონდომება და ენერგია. მათ ერგოთ პატივი შეესრულებინათ უფლის ვნების ეპიზოდები წმიდა წერილიდან.

ნადია ჩიტაძე

## ახალი მინისტრანტების კურთხევა

მამა მაჩეი მამაიმ პოლონეთიდან ჩამოსვლისთანავე აქტიური მუშაობა დაიწყო მინისტრანტებთან. წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეპლესიაში გაკეთდა განცხადება ახალი წევრების მიღების შესახებ, და შევსებაც დაიწყო. შეიქმნა მოზარდების ახალი ჯგუფი, რომელთა მომზადებაც სემინარისტმა მიშა

სურმავამ ითავა, რომელმაც, თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში, პატარებს გააცნო და შეასწავლა წმიდა ლიტურგიის არსი და რა ევალება მინისტრანტს.

და აი, 18 თებერვალს წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიის მრევლი კიდევ ერთი საზეიმო წირვის მონაწილეები გახდით. მინისტრანტების შვიდი კანდიდატი მიღებულ იქნენ მინისტრანტთა საკრებულოში. აღსრულებული სავალდებულო ლოცვის შემდეგ მიშამ თითოეულს მხრებზე თეთრი ფერის „ეპოლეტები“ გაუჰეთა, ნიშნად სიწმიდისა და ნათლობის საიდუმლოსი. სწორედ ეს თეთრი ეპოლეტი და არა ალბა იყო იმის ნიშანი, რომ ისინი: არჩილ აზირაშვილი, დათო შავერდაშვილი, ოთო შავერდაშვილი, დიმა პანი, შალვა მარჯოზაშვილი, დათო გორგიშვილი და დათო ზურაშვილი, გახდნენ უმცროსი, ანუ შუქის მინისტრანტები და მხოლოდ იწყებენ საკურთხეველზე თავიანთ მომსახურებას.

წმიდა წირვის ბოლოს მათ გადაეცათ მინისტრანტების მოწმობები.

წირვის შემდეგ, უფროსი და უმცროსი მინისტრანტები ერთად შეიკრიბნენ ტრაპეზე, რათა ერთად გაეზიარებინათ სიხარული იმისა, რომ ღმერთმა ინება გამრევლებულიყო საკურთხეველზე მომსახურეთა რიცხვი.

ახლადნაკურთხმა მინისტრანტებმა უკვე მოასწრეს მომსახურება ეპისკოპოსთან და წმიდა საყდრის დესპანთან ერთად და ყოველ საკვირაო წირვაზე ვხედავთ, რა დიდი პასუხისმგებლობით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

## ნადია ჩიტაძე

### სააღდგომო პერიოდი ქუთაისში

კვირა დილას საზეიმო განწყობით შეხვდა ქუთაისის კათოლიკური ეკლესია აღდგომის ბრწყინვალე დღესასწავლს. ზეიმობდნენ ეკლესიის მოძღვრები, მონაზვნები, მრევლის წევრები და სტუმრები. წმიდა წირვა მამა გაბრიელე ბრაგანტინმა აღავლინა.

აღდგომის მომდევნო დღეს, 10 აპრილს, მამა გაბრიელემ, მონაზვნებმა და მრევლის წევრებმა საფიჩხიის სასაფლაოზე მოვილოცეთ გარდაცვლილ კათოლიკეთა საფლავები. მამა გაბრიელემ აკურთხა საფლავები და გარდაცვლილთა სულების მოსახსენებელი ლოცვა აღავლინა.

შთამბეჭდავი იყო ოთხშაბათი, 11 აპრილი: მამა გაბრიელეს თაოსნობით ვეწვიეთ ხარების ეკლესიას (ყოფილი კათოლიკური ეკლესია) და იმ ეზოში დაკრძალულ კათოლიკეთა საბოლოო განსასვენებლებს.

მკითხველისათვის საინტერერებო იქნება ერთხელ კიდევ შევახსენოთ, რომ აქ მრავალი კათოლიკე მღვდელი და სასიქადულო მამულიშვილია დაკრძალული. მაგალითად, მოძღვარმა დონ ანტონ გლახაშვილმა მე-18 საუკუნეში მოძღვართათვის კარგი ქვის სახლი გააკეთა, შემდეგ კი – მის გვერდით, 1879 წელს, სამრევლო სკოლაც ააგო. მანვე ააშენა პატარა საყდარი, რომელიც დღემდევ შემორჩენილი. დონ ანტონმა ქუთაისის მარიამ ღმრთისმშობლის ეკლესიაში 40 წელი იმოდვაწა და დაკრძალულია ეკლესიის შუაგულში.

ეკლესიის კონდაკში მოხსენებული არიან მოძღვრები, რომელთაც, უქველია, ამ ეკლესიაში უმწევემსიათ: 1802 წლიდან ანტონ პატელი, ჩელანირე ენაფონტელი, იოსებ მდდისიანი, სტეფანე მეფისაშვილი, ბასილი, მარიოსი, იოანე ბეთანიანი; 1813 წლიდან: გრიგოლ ვართაპეტი გულაშიანი, ანტონ თუმანოვი, ბერნარდი რომაელი; 1818 წლიდან: გრიგოლ აზბურელი, სტეფანე მაზმიანი, ანტონ ოპანიანი, გრიგოლ ნათალე ქალდეველი; 1824 წლიდან: აკოფაშვილი ქუთაისელი, გიორგი ქუთაისელი და სხვანი.

კონდაკში ქართველი კათოლიკენი ქართული გვარებით არიან მიხსენიებული. მაგ, ნემსაძე, გვარიშვილი, რომაშვილი, წალდაძე, ჩოლაშვილი, გლახაშვილი, პურალაშვილი, მალხაზიშვილი, დათიაშვილი და მრავალი სხვანი.

ქუთაისის კათოლიკე ეკლესიის ბოლო მოძღვარი იყო დონ დამიანე სააკაშვილი, მრავალმხრივ განათლებული, პოლიგლოტი, სამშობლოზე და მშობლიურ ქუთაისზე უსაზღვროდ შეევარებული პიროვნება. მას დამთავრებული ჰქონდა რომის სასულიერო აკადემია. იგი ეკლესიის დახურვის შემდეგაც არ მოსცილებია ტაძარს და იქვე მუშაობდა დარაჯად, იმის მიუხედავად, რომ მრავალი დამცირებისა და ტანჯვის გადატანა უწევდა. ღონ დამიანე სააკაშვილი 1940 წელს გარდაიცვალა და ეკლესიის ბადში დაკრძალე. მადლი უფალს, რომ მშობლიურ მიწაში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი!

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიისადმი გაწეული განსაკუთრებული დვაწლისათვის, ტაძრის შიგნით, საკურთხევლის მარცხენა მხარეს განისვენებს დონ დიმიტრი თუმანიშვილი.

1971 წლის 15 ოქტომბერს ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში საკონცერტო დაბბაზი გაიხსნა. იქ იდგა ორგანი და სისტემატურად იმართებოდა სასულიერო მუსიკის კონცერტები.

მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ, მეუფე კალისტრატე ქუთათელის ნებართვით, რისთვისაც დიდ მადლობას უუხდით, დონ დამიანე სააკაშვილის საფლავთან მოუყარა თავი მრევლს და გარდაცვლილთა სულებისადმი მიძღვნილი ლოცვა აღავლინა, შემდეგ კი – უელა საფლავი აკურთხა. ეს ცერემონია გადაიღო ტელეკომპანია „რიონის“ საინფორმაციო განყოფილებაშ და ის ტელევიზიით გადაიცა.

იმავე დღესვე, მამა გაბრიელესთან ერთად, გავემგზავრეთ მწვანეულას პანთეონში და უვავილებით შევამკეთ ვალერიან მიზანდარის, იოსებ ოცხელის,, ზარდალიშვილის, ნაზარლიშვილის საფლავები. მამა გაბრიელემ ვალერიან მიზანდარის საფლავთან გარდაცვლილთა სულის მოსახსენებელი ლოცვა აღავლინა და აკურთხა საფლავები.

შემდეგ დღეებში ოდასკურის (ახალი წყალტუბოს გზაზე), ავანგარდისა და ვაკისუბნის სასაფლაობიც მოვინახულეთ და პატივი მივაგეთ გარდაცვლილთა სულებს.

პასექი ქრისტიანთაოვის ორმაგი აღდგომა: იესოსი და საკუთარი რწმენისა. აღდგომის გარეშე ფუჭი იქნებოდა იესოს ცხოვრება, მისი მქადაგებლობა, მისი სასწაულები, მისი სიკვდილი და ფუჭი იქნებოდა ჩვენი რწმენა.

## ეპიზოდები ვალეს საკრებულოს ცხოვრებიდან

ვალეს ღმრთისმმობლის ეკლესია მე-19 საუკუნეშია აგებული, მაგრამ მხოლოდ ლამაზი ტაძარი არაფერია უფლისთვის, თუ არ იქნება კარგად ფორმირებული ცოცხალი ეკლესია.

საქართველოში კათოლიკე ეკლესიის პირველ სინოდზე სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა, რომლის მიხედვითაც მომავალში ჩვენმა ეკლესიამ უნდა იაროს. ერთ-ერთი ამ მიმართულებათაგან არის ფორმაცია საკრებულოებში. ჩვენი მოძღვრის, მამა არტურის ინიციატივით, რომელიც გულისხმიერებით და დიდი ენთუზიაზმით გამოირჩევა, გადავწყვიტეთ დაგვეწყო სერიოზული მომზადება ჩვენი მრევლის ყველა ასაკის წარმომადგენლებთან.

გვყავს დაახლოებით 200 ბავშვი, რომლებიც ასაკობრივ ჯგუფებში არიან განაწილებული. სულ არის ექვსი კატეხისტური ჯგუფი, რომელთაც შაბათ-კვირას უტარდებათ მეცადინეობა.

დაგვიწყეთ მინისტრანტობის კანდიდატთა მომზადება, ასევე, სპეციალური მომზადება მინისტრანტებისათვის. ბიჭები ძალიან დაინტერესდნენ მეცადინეობით და უკვე გვყავს 8 მინისტრანტი და კანდიდატობის მსურველთა 16 წევრი.

საკრებულოში ჩამოყალიბდა მოხალისეთა ჯგუფი, რომლებიც სერიოზულად ეკიდებიან თავიანთ საქმეს თანდათან სწავლობენ მოხალისეთა სამსახურის მოვალეობებს და პერიოდულად ეხმარებიან ვალესა და ახლომდებარე სოფლების გაჭირვებულ მოსახლეობას და მონაწილეობენ საეკლესიო საქმიანობებშიც.

ეკლესიის უფროსი ასაკისა და ხანდაზმული წევრებისათვის ყოველ კვირას ტარდება კატეხიზაცია და ბიბლიის კითხვა კომენტარებით.

შაბათობით ეწყობა ახალგაზრდული შეხვედრები: ბიბლიის სწავლებას ან თან ახლავს ხალისიანი განწყობა და სასიამოვნო გალობები.

ზოგჯერ ეწყობა კატეხისტების შეხვედრები, სადაც ერთად ვგეგმავთ მომავლის გეგმებს, კატეხისტური სწავლების პროგრამებს, ვმსჯელობთ არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

თითქმის რეგულარულად ეწყობა კატეხიზაციები პირველი ზიარების, ადსარებისა და მირონცხების საიდუმლოთა მიღებისათვის.

სერიოზული რეფორმის განხორციელება დაგვიწყეთ ეკლესიის მგალობელთა გუნდთან, ვგეგმავთ შევასწავლოთ ქართული მრავალხმიანი საგალობლები, ასევე, სხვა ახალი გალობები.

გავხსენით გიტარის შემსწავლელი კურსები, რომელშიც სხვა ახალგაზრდებთან ერთად გუნდის წევრებიც დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ. ვიმედოვნებ, მომავალში ჩვენს შემოქმედებით კონცერტსაც შევთავაზებო მსმენელებს.

ყველაფრის თავი და თავი მამა არტურია. რომ არა მისი დაუდალავი ენერგია და ენთუზიაზმი, ჩვენ მსგავსი სერიოზული რეფორმების

განხორციელებას ვერ მოვახერხებდით. სწორედ იგი გვეხმარება ვიყოთ ჭეშმარიტი ქრისტიანები.

ვიმედოვნებ, ის მცირე თესლი, რომელსაც მამა არტური ჩვენს გულებში თესავს მომავალში დიდ ნაყოფს გამოიღებს.

თამრიკო ჩიტაშვილი

### “საქართველოს კარიტასის” პროექტებს მაღალი სტუმრები ეწვივნენ.

საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მოწვევით 2007 წლის 15 აპრილს საქართველოში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა პოლონეთის პრეზიდენტი ლეს კაჩინსკი მეუღლითურთ.

2007 წლის 16 აპრილს, საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების მეუღლეები, ქ-ნი სანდრა რულოვსი და ქ-ნი მარია კაჩინსკა ესტუმრნენ “საქართველოს კარიტასის” ქ. თბილისში მდებარე “ბავშვთა სარეაბილიტაციო კომპლექსს” და მოინახულეს ამ ტერიტორიაზე მდებარე ყველა მოქმედი პროექტი, მათ შორის: სადღედამისო ჯგუფი, კ. წ. ქუჩის ბავშვებთან მომუშავე სარეაბილიტაციო პროექტი “ჩვენი სახლი”, ჰუმანიტარული სასადილო, ხანდაზმულთა შეხვედრების ცენტრი, ბავშვთა №1 და №2 ცენტრების სხვადასხვა სასწავლო კლასები, კაბინეტები და სახელოსნოები, როგორიცაა: კომპიუტერული კლასი, ხატვისა და რიოში მარგალიტებით ქარგვის კლასი, ფარდაგებისა და გობელენების ქსოვის სახელოსნო, მინანქრის, ჭედურობისა და ხატწერის სახელოსნოები, თოჯინების სტუდია და სხვა. ბავშვთა კომპლექსის ქართული ხალხური ცეკვების ჯგუფმა სტუმრები მოხიბლა საკუთარი შემოქმედებით.

ბოლოს, სტუმრები ეწვივნენ საგამოფენო დარბაზს, სადაც მათ გადაეცათ თექის სახელოსნოში ბავშვების მიერ მოქსოვილი საჩუქრები. სტუმრებმა და მათთან ერთად მყოფმა, მასმედიის სხვადასხვა არხის ადგილობრივმა და უცხოელმა უურნალისტებმა ვერ დამალეს თავისი აღტაცება „საქართველოს კარიტასის“ პროექტების გამო.

\* \* \*

2007 წლის 20-21 აპრილს საქველმოქმედო ფონდ “საქართველოს კარიტასს” იტალიიდან ეწვივნენ ფირმა POLINI-ის ხელმძღვანელი ბ-ნი ჯორჯო კომეტი და ბ-ნი ლუჩანო ტურაცინი მეუღლეებით, რომლებმაც ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის (“Panetteria” და “Trento”) საცხობებს უსასყიდლოდ გადასცეს ძვირადღირებული პურის გამოსაცხობი გ.წ. “ქვის” ღუმელები.

სტუმრებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს “საქართველოს კარიტასის” ქ. თბილისში მდებარე პროექტები, როგორიცაა: საცხობი “Panetteria”, ბავშვთა კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა ბავშვთა პროექტები, ხანდაზმულთა შეხვედრების ცენტრი, ჰუმანიტარული სასადილო, აგტოშემკეთებელი სახელოსნო – “San Zeno” და სხვა.

სტუმრებს საჩუქრად დაგაეცათ ხელოვნების სტუდიის – Art therapy Studio სახელოსნოებში მოზარდი ბენეფიციარების მიერ მოქსოვილი გობელენები. 20

აპრილს საღამოს ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ სტუმრების თანდასწრებით აკურთხა პანეტერიაში დამონტაჟებული ფირმა POLINI-ს დუმელი. შემდგომ პანეტერიის პიცერია-რესტორანში გაიმართა ვახშამი და საუბარი, რომელსაც, სტუმრების გარდა, ესტრებოდნენ საქართველოში წმიდა საყდრის სადესპანოს წარმომადგენელი მონსინიორ როლანდას მაკრიცასი, “საქართველოს კარიტასის” პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი, თბილისისა და ქუთაისის საცხობების ხელმძღვანელები და სხვა წარმომადგენლები, როგორც თბილისიდან ასევე ქუთაისიდან.

შაბათს, 21 აპრილს, სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს დირსეშესანიშნავი ისტორიულ-კულტურული ძეგლები: გორში სტალინის მუზეუმი და მცხეთაში სვეტიცხოველი. ნანახით ყველანი ძალზე კმაყოფილნი დარჩენენ და წასვლისას, ორივე საცხობისათვის საჩუქრად, დამატებითი საჭირო დანადგარების გამოგზავნას შეპაირდნენ.

## “საქართველოს კარიტასი”

ქრისტიანული ოჯახი

### Iner Georgia ლევოვში

Iner Georgia-ს წარმომადგენლები, გამოცდილების გაზიარების მიზნით, ა.წ. თებერვლის თვეში მიიწვია ქ. ლევოვის უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტის (უკ) საოჯახო და ქორწინების ინსტიტუტის კათედრამ.

შეუძლებელია, რ მოიხიბლო ამ ქალაქით, მრავალი ეპლესით, ავსტრიელთა და პოლონელთა მიერ აგებული ლამაზი სახელებით. ქ. ლევოვი 1256 წ. დააარსა მეფე დანილომ და მას შვილის სახელი უწოდა. უკრაინაში იგი სიდიდით მეათე ქალაქია და მასში მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. ჭარბობს ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიები, მორწმუნებები თავს აღმოსავლური წესის კათოლიკებს უწოდებენ, აღასრულებენ ბიზანტიურ წირვებს და დღესასწაულებს ძველი სტილით აღნიშნავენ.

ადსანიშნავია, ლევოველთა კეთილგანწყობა საქართველოსა და ქართველების მიმართ. ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, რათა პარალელი გაავლონ უკრაინის დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობასთან.

რაც შეეხება სამუშაო გრაფიკს, უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტში მოვისმინეთ ბიოეთიკის მოკლე კურსი, რომელსაც უძღვებოდა მამა იგორ ბოიკო. ლექციები ოჯახური ცხოვრების ეთიკაზე, სიყვარულის ფილოსოფიაზე, ქორწინებისათვის დანიშნულთა მომზადებაზე წაგვიკითხეს: იური პედლიცკიმ, პეტრო პუსაკმა, პალინა კრიშტალმა, ალისია კურჩმა. მათი ორგანიზებით უნივერსიტეტში მოეწყო კონფერენცია, რომლის თემა გახლდათ “პოსტაბორტული სინდრომი”. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ სასულიერო პირებიც. პირველად ისაუბრა ფსიქიატრმა, იგი შეეხო აბორტის შემდგომ სინდრომს და იმ დანაშაულის შეგრძებაზე ისაუბრა, რომელიც ქალის “ფსიქიკას 15-20 წლის შემდეგაც დაარღვევს”, ამას იგი თავისი მოღვაწეობის პრაქტიკული მაგალითებით ადასტურებდა. ბიოეთიკოსი, მ. იგორ ბოიკო, შეეხო ეკლესიის პოზიციას იმ ქალების მიმართ, ვინც ეს უმძიმესი და

გაუცნობიერებელი დანაშაული ჩაიდინა. მან აღნიშნა, რომ “მათ არა განდევნა, არამედ სულის მკურნალობა ესაჭიროებათ”. ლესია ჰუსაქმა კი ისაუბრა აბორტის ფსიქოლოგიურ შედეგებზე, რაც ცოლ-ქმარსა და მათ შვილებთან ურთიერთობის პრობლემებში გამოიხატება. ხაზი გაუსვა სიცოცხლისათვის მოძრაობების თანამშრომლობას სახელმწიფო სტრუქტურებთან; ეკლესიაში ერთი ლოცვის დღის გამოყოფაზე აბორტით დაღუპული ბავშვებისათვის. იური პედლიცკიმ წინდახედული მუშაობის პროექტი წარმოადგინა, ისაუბრა სისტემის შექმნაზე, რომელიც არ დაუშვებს აბორტს, ანუ იმუშავებს იმ მიზეზებზე, რასაც მოსდევს ეს არჩევანი. პერიოდულად ინსტიტუტი მართავს აქციებს სიცოცხლის დაცვისთვის სააბორტო განყოფილებების წინ, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ მოხალისე სტუდენტები. აგრეთვე უშვებს გაზეთს “ზა უიტია”, რომელშიც მსჯელობენ ოჯახზე, სიცოცხლეზე და მის წინააღმდეგ მიმართულ საკითხებზე.

ძალიან საინტერესო იყო ჩვენთვის საოჯახო პასტორალური ცენტრის გაცნობა, რომელსაც ასევე შექმნილი აქვს “სრულიად უკრაინის საქველმოქმედო ფონდი ოჯახი”, “ქრისტიანულ ოჯახთა მოძრაობა”, რომელიც წელიწადში ორჯერ იკრიბება. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდების მომზადებას ქორწინებისთვის. ეკლესიის ბაზაზე ჩამოყალიბებულია სკოლა დანიშნული წყვილებისთვის, რომლებიც საინტერესოდ შედგენილი პროგრამით გადიან მრავალმხრივ მომზადებას.

განსაკუთრებით სასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ ოჯახის გამყარების და ფასეულებათა შენარჩუნების მიზნით დანიშნულ წყვილთა მომზადების საკითხი, საქველმოქმედო ფონდის მიერ გატანილი იქნა პარლამენტი. ის პარლამენტმა მიიღო და ბიუჯეტიდან თანხაც გამოუყო, ასე გახდა ქორწინებამდე მოსამზადებელი ერთოვიანი კურსი წყვილებისათვის საგალდებულო. აქტიურად მუშაობს ორსულთა სკოლა, ძალიან ლამაზი სანახავი იყო ოცდაათი ორსული ქალი მეუღლებთან ერთად შეხვედრაზე, სადაც ისინი მომავალი მშობიარობისათვის ემზადებიან საჭირო ინფორმაციების მიღებით, პროგრამაში ჩართულია ასევე ვარჯიშები ორსულთათვის. ამ შეხვედრებაზე ისინი შიშს ისხნიან და ფსიქოლოგიურად ემზადებიან მშობიარობისთვის. როგორც საოჯახო ცენტრის ხელმძღვანელმა გვითხრა, ქორწინებისთვის უკვე ორმოციათასამდე წყვილი მოქმედა, როგორც კიუვში ასევე სხვა ქალაქებში. სტატისტიკური მონაცემებით, მომზადებულ წყვილებში განქორწინების რიცხვმა საგრძნობლად იკლო. მათი გამოცდილება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ მომზადება ოჯახის შექმნისთვის აუცილებელია. ახალგაზრდებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ ჩამოყალიბებული ქრისტიანული შეხედულება ქორწინებაზე, ცოლქმრულ ურთიერთობაზე, ერთგულებასა და სიყვარულზე, პასუხისმგებლობაზე, სიცოცხლის გადაცემის მაღლზე და იმ შესაძლო წინააღმდებზე, რომლებიც შეიძლება ოჯახურ ცხოვრებაში წარმოიშვას.

Iner-ის თანამშრომლები ენთუზიაზმით სავსე დავბრუნდით საქართველოში და დიდი სურვილი გვაქვს ამ კუთხით მიმართულმა ჩვენმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღოს.

ნანა ნებიერიძე

## სულიერება

### ვილოცოთ ბერმონაზვნული მოწოდებისათვის

ბერმონაზვნური მოწოდების მსოფლიო დღესთან (აღდგომის IV კვირა) დაკავშირებით გვხერს მოკლედ გაგაცნოთ ბერმონაზვნული მოწოდების მნიშვნელობა. ადამიანებს ხშირად სხვადასხვა კითხვები ებადებათ ბერმონაზვნული ცხოვრების ირგვლივ. ეს ნიშნავს, რომ მათ ამ მოწოდების ირგვლივ არასაკმარისი ცოდნა აქვთ.

ამ სტატიით, ჩვენს ეკლესიასთან ერთობაში, მოვუწოდებო ყველას, ილოცონ ღმრთივშეწირულთა მიმართ და საქართველოში ამ მოწოდების გაღვივებისათვის. უფალმა იქსო ქრისტემ დაუბარა თავის მოწაფეებს: “სამკალი ბევრია, მუშაკნი კი – ცოტა. ამიტომაც ევედრეთ სამკალის უფალს, რომ გამოგზავნოს მუშაკნი თავის სამკალში” (მათ. 9,37-38). ლოცვა-ვედრება, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ქრისტიანის ცხოვრებაში, ერთგვარი წახალისების და მხარდაჭერის ფორმაა სასულიერო მოწოდებაში. ქრისტიანები ლოცულობენ და მადლობას სწირავენ უფალს მთელი მისი საბოძვარის გამო.

იოანე პავლე II-ის პოსტინოდური დოკუმენტი “Vita consacrata”, შედგენილი იმ ეპისკოპოსებთან ერთობაში, რომლებიც ამ სინოდში მონაწილეობდნენ, ბერმონაზვნული ცხოვრების მრავალმნიშვნელობას აცხადებს ეპლესიაში და ყველა ქრისტიანს მონიშვნელობის ამ მოწოდების გამო ღმრთისადმი გამუდმებულ ლოცვასა და მადლშეწირვაში.

### ბერმონაზვნული ცხოვრება მოწოდებაა

სიტყვა “მოწოდება” ნიშნავს “მოწვევას”, “მოხმობას”, მოწოდების მინიჭებას, ანუ პიროვნების იდენტურობას. ბერ-მონაზვნები, იგივე ღმრთისადმი შეწირულები, ის მორწმუნე ქრისტიანებია, რომლებიც უფალს განსაკუთრებული შეწირვის ფორმით (მთლიანი თვითმიდვენით) მიჰყვებიან. ბერმონაზვნობა (ღმრთისადმი შეწირულობა) ქრისტიანული მოწოდების სპეციფიკური გზაა და იგი განსხვავდება ქრისტიანულ ცხოვრებაში არსებული სხვა მოწოდებებისაგან.

როდესაც ვსაუბრობთ “მოწოდებულზე”, უცილობლად არსებობს ის პიროვნება, ვინც “მოუწოდებს”. სახარებაში ჩვენ ვხედავთ იქსოს, ვინც ადამიანებს უკან გასაყოლად იხმობს და ისინიც პასუხს მიუგებენ გაყოლით და მჭიდრო კავშირის დამყარებით (მაგ. მათ. 4:21, მარ. 1:17, 2:14); ზოგნი უარყოფენ ამ მოხმობას და გვერდზე ჩაუვლიან იქსოს (მათ. 19:21). ქრისტიანულ ცხოვრებაში მხოლოდ იქსოა “მომწოდებელი” (რომ. 9:12). იგი მოუწოდებს ადამიანებს თავის მისის გაზიარებას, რათა სხვა სულები მიიყვანონ მამასთან. ყველა ქრისტიანია მოწოდებულია ღმრთის სიყვარულის დასამოწმებლად. ბერმონაზვნობა არის ცხოვრებისეული სტატუსი, რომელშიც ადამიანები ეზიარებიან ღმრთის სიცოცხლეს ეკლესიის ცხოვრებაში.

ვერ ვიტყვით, რომ ღმრთისადმი შეწირულობას, ბერმონაზვნობას წარჩინებული ადგილი უკავია სხვა მოწოდებებთან შედარებით, მაგალითად, როგორიცაა ქორწინება: უბრალოდ, ბერმონაზვნობა ქრისტიანული ცხოვრების განსხვავებული ფორმაა და იგი ღმრთის ერში მხოლოდ მცირედის მხრიდან არის მიღებული, ღმრთისაგან ბოძებული მადლის წყალობით.

## ბერმონაზვნული ცხოვრება ძღვენია

ჩვეულებრივ, ძღვენი არის ის, რასაც ერთი პიროვნება მეორეს ჩუქნის, რამე გამორჩეულ დღეს მაღლობისა და დაფასების ნიშნად, ან კეთილი ნების აღსანიშნავად, ან სულაც ურთიერთგრძნობების გადასაცემად. ამრიგად, ძღვენი აღნიშნავს თანაკავშირს. რელიგიური კუთხით ძღვენის შემოქმედი არის ღმერთი. “უველა კეთილი საბოძვარი და უველა სრულყოფილი ნიჭი მადლიდან მოდის, ნათელთა მამისაგან” (იაკ. 1:17). ადამიანს მოეთხოვება მხოლოდ ამ საბოძვარისადმი გულგახსნა და მისი მიღება (შდრ. მარკ.10:5). მაგრამ არ უნდა მოხდეს ღმრთის ძღვენის შენახვა, იგი სულგრძელად უნდა გაიცეს სხვებზე (შდრ. 1 იონ. 3:16), გაიცეს ისევე უსასყიდლოდ, როგორც იქნა მიღებული (მათ. 10:8). ამ გაგებით, ბერმონაზვნობა ღმრთის უსასყიდლო ძღვენია, რაც ებობათ რჩეულ ადამიანებს ეკლესიის ცხოვრებაში. ხოლო ამ ადამიანებმა თავიანთი არჩევანი გააკეთეს. ისინი მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ იღვწიან.

იოანე პავლე II-მ ბერმონაზვნული მოწოდება ფასდაუდებელ და უცილობელ მადლად გამოაცხადა, რომელიც საჭიროა აწყოსა და მერმისისათვის, როგორც ეს იყო წარსულში, რამეთუ იგი ეკლესიის, მისი სიწმიდისა და მისი მისიის განუყოფელი ნაწილია (VC.3). ამრიგად, სასულიერო ცხოვრება ეკლესიაზე გაღებული ღმრთის ძღვენია. ღმრთისადმი შეწირულები ეკლესიის ნაწილს წარმოადგენენ და ქრისტესთან ერთობაში ღმერთს უძღვნიან თავს. ისინი ემსახურებიან ღმერთს, ამოწმებენ მის სიყვარულს, დგებიან სხვების მსახურებაში და ბაძავენ ქრისტეს მაგალითს, რომელმაც უველასთვის გასწირა თავი. სამყაროში ისინი “კეთილ სამარიტელებად” გვევლინებიან, ვინც ხედავს გაჭირვებულს, ჩერდება და შეეწვა მათ (ლუკ.10:33-35).

## ბერ-მონაზვნური ცხოვრების აზრი

ღმრთისადმი შეწირულობის ესა თუ ის სპეციფიკური ფორმა ხორციელდება სახარებისეული აღთქმების მეშვეობით: უბიწოება, უპოვარება და მორჩილება. მათი მეშვეობით პასუხი ეცემა წმიდანობაში საყვაველთაო მოწოდებას. ბერ-მონაზონი მიპყვება ქრისტეს გზას, რომელმაც თავისი მიწიერი ცხოვრება უბიწო, დატაკი და მორჩილი გზით განვლო. ისინი მიატოვებენ ყოველივეს, რაც აბადიათ და ბაძავენ მას, რომელმაც “წარმოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება” (ფილ. 2:7). უველა ამქვეყნიური ღირებულება ბერ-მონაზვნისათვის ღმრთისა და მოყვასისადმი მსახურების საშუალებად იქცევა. თავიანთი აღთქმების ერთგულებით და უფლის სიყვარულით შთაგონებულნი, ისინი მიპყვებიან ქრისტეს, როგორც ცხოვრების ერთადერთ საჭიროებას. ამ აღთქმების მეშვეობით, საკუთარი ცხოვრების სამართავად, ისინი მთლიანად სწირავენ ღმერთს საკუთარ თავს, სიყვარულის ნიჭს, მიღების საჭიროებას და თავისუფლებას. ლოცვა-ვედრებაში განჭვრეტენ ბერ-მონაზვნები ღმერთს და გულით და გონებით შეეკრიან მას. ეს კავშირი ნაყოფს ასხამს მათ საქმიანობას – მოციქულობას. ამ გზით ისინი თანამშრომლობენ ღმერთთან საკუთარი თავის და სხვათა სულების გადასარჩენად. ბერმონაზვნური ცხოვრება ძირითადად ვითარდება საკრებულში, ადრეული ქრისტიანულ საკრებულოს

მაგალითზე, სადაც მორწმუნები ერთობაში იყვნენ “ერთი გულით და ერთი სულით და საერთო პქონდათ ყველაფერი” (საქ. 4:32); საკრებულოში ინაწილებენ სიძელეებს, ატარებენ ერთმანეთის ტვირთს (გალ. 6:2). ასეთი ერთობა, პირველ რიგში, საზრდოობს საღმრთო წერილით, ლიტურგიით, და განსაკუთრებით, ეპქარისტით, ლოცვითა და მმური ზიარებით. საკრებულოში ბერ-მონაზვნები ყოველდღიურად ღვივდებიან საონოებაში.

## როგორ ხდებიან ბერ-მონაზვნები

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ბერ-მონაზვნობის მოწოდება ღმრთისაგან მოდის და თავისუფალი ნებით არის მიღებული. პიროვნებამ უნდა მოისმინოს ეს მოხმობა, მიიღოს იგი და ოწმენით, თავისუფლებითა და გულმოდგინებით გააცოცხლოს თვით ძნელბედობის წუთებშიც. ადამიანი ირჩევს რომელიმე ერთ მოწოდებას ეკლესიაში პასუხისმგებლობის გადმოსაცემად. ეს გზა სხვა არსებულ გზებსაც შეგვაცნობს, რომელშიც დმერთი მოვისმობს, უბოძებს რა ინდივიდებს სპეციფიკურსა და განსხვავებულ ნიჭებს, თავის სახლში სათანადო ადგილის გამოძებნით. მეორე დიდი შეწევნა მოწოდების არჩევანში ეს არის ლოცვა, რომელშიც პიროვნებას დმრთისაგან ენიჭება გამორჩეული ნათელი და სიმტკიცე. მნიშვნელოვანია, ასევე, სულიერი დედის ან მამის დახმარებაც.

რა დროიდანაც ბერ-მონაზვნული ცხოვრება სტაბილურ გზად იქცევა, ჩვეულებრივ ცხოვრება ხდება სხვებთან კავშირში, ღმერთთან ერთობაში და გამოიხატება სპეციფიკურ მსახურებაში; აქედან გამომდინარე, ადამიანს არ შეუძლია უმოკლეს დროში შევიდეს ბერმონაზვნურ ინსტიტუტში და მაშინვე იქცეს მის წევრად. საჭიროა ფორმაციისა და მომზადების პროცესი, რის განმავლობაშიც კანდიდატები თეორიული და პრაქტიკული სწავლებით დაკავდებიან, ისე როგორც ამას მომავალი ცხოვრება მოითხოვს. ისინი უნდა გაეცნონ იმ მდგომარეობას, რაც მათ მომავალში ელით და წმინდაჟყონ და გააღრმაონ ის, რასაც უკვე წარმოადგენენ. ასეა თუ ისე, ეს პერიოდი ითხოვს ახალი ჩვევების გამომუშავებას საქმეების მეშვეობით, ხალხთან ურთიერთობის ახალი ფორმების გამომუშავებით, სათნოებისა და დროის გამოყენებით, და ღმერთთან კავშირის გაღრმავებით. ეს არის მცდელობა, რომ თავიანთი ყოფა-ცხოვრება გარდასახონ იმ კუთხით, როთაც მთლიანად და სიხარულით ჩაიძირებიან ღმერთში: ფორმაციის ძირითადი მიზანი, ასევე, უნდა იყოს ღმრთისადმი შეწირული ცხოვრების მოთხოვნილება, პიროვნების განმტკიცება უფალ იეხოსთან სრული თაგშეწირვით (VC.65).

ბერ-მონაზვნები ერთად იკრიბებიან, ისინი წინასწარ არ ირჩევენ ერთმანეთს, სწავლობენ დამურ ურთიერთობებს თავიანთ რელიგიურ ოჯახში. ამდენად, ფორმაცია არის სკოლა, სადაც კანდიდატები ერთმანეთის სიხარულის გაზიარებას და თანაცხოვრებას სწავლობენ, მიუხედავად ერთმანეთს შორის განსხვავებებისა. ეს არის ასევე დრო, თავიანთი ინსტიტუტის ცხვრების სტილის, მისი სულის, მისი ქარიზმის და მისი ტრადიციების შესახვალად. ყველაფერი ეს ეხმარება ადამიანს ღმერთთან ურთიერთობაში გაღრმავებს, რომლის შეწევნის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ბერმონაზვნურ ცხოვრებაში მტკიცედ ყოფნა. ამრიგად, ეს არის გარჩევის პერიოდი, სადაც კანდიდატი უკეთ აცნობიერებს ცხოვრების იმ ფორმას, რისკენაც მიიღოდგინ. ცოდნა მათ ეხმარება,

აირჩიონ ეს გზა დიდი თავისუფლებითა და პასუხისმგებლობით. ფორმაცია გრძელდება ცხოვრების მეშვეობით, მანამ ვიდრე არ მოხდება პიროვნების სრული ტრანსფორმაცია, თუნდაც იმიტომ, რომ არ არსებობს ასაკი, როდესაც პიროვნება სრულყოფილად იქნება მოწიფებული.

ბერმონაზვნური ფორმაცია ქრისტიანული ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს: პუმანურს, კულტურულს, სულიერს და სამოციქულოს. კანდიდატებს ეხმარებიან, რომ გააცნობიერონ თავიანთი როლი მოციქულობაში, მათი უნარიანობა ადაპტაციის მხრივ და სულისკვეთება ახალ-ახალ ინიციატივებში. ისინი ასევე სწავლობენ ლოცვისა და სამოციქულო მსახურების ურთიერთშერწყმას. მათ ასევე გაეწევა დახმარება თავიანთი ნიჭის აღმოსაჩენად, და თავიანთი მანკიერების შესაცნობად, რათა ითანამშრომლონ ღმრთის წყალობასთან გულის მოსაქცევად.

ფორმაციის პერიოდი განსხვავებულია ბერმონაზვნური ინსტიტუტის ბუნებიდან გამომდინარე. ზოგადად, დაწყებითი ფორმაციის პერიოდი მოიცავს არანაკლებ სამ წელს. ამ ფორმაციის დასრულებისას, კანდიდატი ხდება ბერი ან მონაზონი სახარებისეული აღთქმების საჯარო აღიარებით: თავად ინსტიტუტის ტრადიციიდან გამომდინარე, ისინი დებენ სამ აღთქმას - უბიწოება, უპოვარება და მორჩილება.

### აღთქმები

ბერ-მონაზვნური აღთქმები საჯარო დავალებაა, კონკრეტულ სიქველეებს ხორცი შეასხან რელიგიური ოვითშეწირვის ან ღმრთისადმი მსახურების მეშვეობით... ეს არის საჯარო კონტრაქტი და საჯარო მოწმეობა, ფასეულობა, რითაც არა მხოლოდ უნდა მოხდეს ბოროტიდან კეთილის არჩევა, არამედ კეთილის არჩევა კეთილთა შორის. ამ განსაზღვრების საფუძველზე, ბერმონაზვნური ცხოვრების კანდიდატები საჯარო ფორმით მუძღვნიან თავს ღმერთს და ეკლესიას, საეკლესიო მსახურთა და მორწმუნეთა საქრებულოს წინაშე. ბერ-მონაზვნები, აღთქმების მეშვეობით, თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს უძღვნიან ღმერთს: სიყვარულის ნიჭს, თვითმფლობელობას და თავისუფლებას თავიანთი ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ისინი ირჩევენ არსებული სიკეთის იმ გზით გამოყენებას, რაც ღმერთს უზენაეს სიკეთედ წარმოაჩენს.

### უბიწოება

ბერები და მონაზვნები, სწორედ უბიწოების აღთქმის მეშვეობით მიუძღვნიან ღმერთს თავიანთი სიყვარულის ნიჭს. ცხოვრების რა მდგომარეობაშიც არ უნდა იდგეს ქრისტიანი, იგი მოწოდებულია უბიწოება მიიღოს როგორც სათნოება; იგი მოითხოვს მოკრაბლებას და თვითდისციპლინას სქესობრივ ცხოვრებაში; სექსში არ უნდა ხედავდნენ მხოლოდ სუფთა კონსუმისტურ ან დივერსიულ მხარეს, ან არ უნდა მოხდეს სქესობრივი ინსტიქტის გაფეტიშება. ცხადია, სექსუალური შეურაცხეფოის ფორმები ძალზე უარყოფითად მოქმედებს ადამიანურ გრძნობებზე, იწვევს ფსიქოლოგიურ და მორალურ შფოთს პიროვნებებში და ოჯახებში.

ბერები და მონაზვნები, სრულყოფილ უბიწოებაში თავიანთი გაწონასწორებული ცხოვრებით, ამოწმებს იმას, რომ ადამიანურად შეუძლებელი, ნამდვილად შესაძლებელია ღმრთის წყალობით. იესო ქრისტეში შესაძლებელია შეიყვარო ღმერთი მთელი გულით და შეიყვარო ყველა და ყველაფერი მასში, რომელიც თავად არის სიყვარული.

ეს აღთქმა იდება არა იმიტომ, რომ სქესობრივ თვითგამოხატვაში რაიმე ცუდია, არამედ ამით კონტროლირდება ვნება და ხდება მთლიანი თავშეწირვა ღმერთში ბერმონაზვნური ცხოვრებით, რომელიც თავისთავად სიკეთეა. ღმრთაებრივი წყალობის მისაღებად მუდმივი გულდიობა და ცხოვრების შთაგონება სამების სიყვარულით, ბერ-მონაზონს საყოველთაო სიყვარულში აღრმავებს. ეს მას ეხმარება თვითკონტროლში, რათა მასშე არ მძლავრობდეს გრძნობები და ინსტიქტები. უბიწოებაში თავშეწირვა ამ გზით იქცევა თავისუფალ გამოცდილებად. იგი ბერ-მონაზონს ქორწინებაში შესვლას უკრძალავს არა იმიტომ, რომ რაიმე არასწორია მასში, არამედ იმიტომ, რომ გაკეთდა ღმრთის არჩევანი და მასთან გაუთიშავი სიყვარულის აღთქმა დაიდო. ბერ-მონაზონი მთელ თავის ცხოვრებას, ენერგიას, გონებას და გულს მიმართავს უფლისა და მისი სასუფევლის სამსახურში. თავად იესომ აირჩია ცელიბატის მდგომარეობა და სწორედ ეს არის ნიმუში ბერისა და მონაზონისთვის.

### უპოვარება

ყველა ქრისტიანია მოწოდებული უპოვრებისათვის. ეს თვისება გვეხმარება, რომ მოკრძალებული გავხადოთ ჩვენი სურვილები მატერიალური ქონების შეძენის კუთხით, არ მძლავრობდეს ჩვენში ეგოისტური, სიხარბისა და მფლობელობის ინსტიქტები.

უპოვარება, ზოგადად, მიუთითებს იმას, რომ პიროვნება მოკლებულია პირველად საჭიროებას დირსეული ცხოვრებისათვის. ბერმონაზვნურ ცხოვრებაში, უპოვარება ნებაყოფლობითი არჩევანია. ბერ-მონაზონი თავისუფალი ნებით ირჩევს უარყოს პირადი საკუთრება, ან უარყოს, რაც აბადია ან რასაც მომავალში შეიძენდა, რათა პასუხი გასცეს ქრისტეს მოწოდებას: “წადი, შენი ქონება გაყიდე და მიეცი დარიბებს, და გექნება საუნჯე ზეცაში, მერე მოდი და გამომყევი” (მათ. 19:21). უპოვარების გზით ბერ-მონაზონი ნებაყოფლობით მიუძღვნის ღმერთს თავის ადამიანურ საჭიროებას საკუთრების კუთხით, რაც არ გულისხმობს მატერიალურ ქონებაზე წმიდა დამოკიდებულებას. იგი გულისხმობს ღმერთზე დამოკიდებულებას და ქონების განაწილებას. ამრიგად, ბერ-მონაზონი თავისუფალია იმ პასუხისმგებლობიდან, რაც აისახება სიმდიდრის დაგროვებაში და რამაც შეიძლება მოწყვიტოს იგი სულიერ ცხოვრებაში ჩაღრმავებას. ამიტომაც, ქრისტეს მაგალითზე, ისინი ხდებიან უპოვარნი, არა იმდენად ნაკლებლობის, რამდენადაც მიწიერ სიკეთეთა გამოყენების მხრივ. ისინი ქონებას თავიანთ ყოველდღიურ საჭიროებებში და თავიანთი სამოციქულო საქმეებში აყენებენ. ყოველივე ამის მიუხედავად, უპოვარება არ არის უმიზეზოდ; იგი არის პასუხი გაჭირვებულთა მოთხოვნებზე კვების, ტანისამოსის და სხვა კუთხით; უსახლკაროებზე, ბავშვებზე და ახალგაზრდებზე, რომლებსაც სჭირდება აღზრდა, გაჭირვებულებზე, მოხუცებზე.

უპოვარების აღთქმა, სეკულარული ინსტიტუტების ბერმონაზვნების გარდა, ასევე მოითხოვს საზოგადოებაში აგტორიტეტულ თანამდებობაზე უარის თქმას, მაგალითად, პოლიტიკაში, რადგანაც იგი სიმდიდრესა და პატივთან ასოცირდება.

### მორჩილება

მორჩილების აღთქმით ბერ-მონაზონი ღმერთს სწირავს საკუთარი ცხოვრების თავისუფლად მოწესრიგებას. თავად სიტყვა მორჩილება, ლათინურად *obedientia, ob-audire*, ანუ გულით მოსმენას გულისხმობს. ბერ-მონაზონი გულით ისმენს ღმრთის ხმას, რათა მოქმედებაში მოიყვანოს მისი სიტყვა და მისი ცხოვრება ღმრთის ნების თანახმად აქციოს მუდმივ პასუხად. ისინი ბაძავენ იქსო ქრისტეს, რომელიც ყოველთვის მორჩილი იყო მამისა; მაშინ, როდესაც იგი აცხადებს “ჩემი საჭმლია – ვემნა ჩემი მომავლინებლის ნება და აღვასრულო მისი საქმე” (იოან. 4:34) და რასაც სიკვდილის წუთებში წარმოთქვა: “იყოს არა ჩემი, არამედ ნება შენი” (მათ. 26:42).

მორჩილების აღთქმა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბერ-მონაზონს არ შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება. როგორც კი ისინი ღმრთის ნებას აღმოაჩენენ წინამდგრის მეშვეობით, როგორებიც არიან წინამდგარნი და ინსტიტუტის წესები, ისინი ყოველივეს ითავისებენ. ცხადია, ძნელია ერთის ნება მეორეს მოახვიო თავს, მაგრამ თავად ქრისტემ “ტანჯვის მეოხებით ისწავლა მორჩილება” (ებ. 5:8). ასეთი მორჩილება შესაძლებელია იმ დროიდან, როდესაც ბერ-მონაზონი ქრისტეს დარად შეეცდება ფიქრს (ფილ. 2:5). მის მსგავსად შეეკვრიან ისინი ღმერთს და ყოველთვის მასში პოულობენ სამკვიდროს: “ვინც მე მომავლინა ჩემთანაა, მარტო არ დამტოვა, რადგან მუდმივ იმას ვაკეთებ, რაც მისთვის არის მოსაწონი” (იოან. 8:29).

საკუთარი ცხოვრების ღმრთის მსახურებაში ჩაყენებით, ღმრთისადმი შეწირული საყოველთაო საჭიროებაში აყენებს თავს; ეს აღთქმა მას ეხმარება სხვებთან თანამშრომლობაში, ორდენსა და საკრებულოში, რომ ერთობაში ეძებონ და მიიღონ ღმრთის ნება სხვადასხვა როლების და მსახურების გადმოცემით; აქედან გამომდინარე, ისინი ემორჩილებიან თავიანთ წინამდგარს, რომლებიც მონასტერში წარმოადგენენ ქრისტეს და მათ ღმრთის ნებაში განამტკიცებენ. ცხადია, დამორჩილება არ გამოიხატება დიქტატორული ფორმით, ვინაიდან თავად წინამდგრები ღმრთის ნების მუდმივ ძიებაში იმყოფებიან, და თავიანთ ძალაუფლებას ასრულებენ რწმენითა და სიყვარულით. როგორც ქრისტე იყო მამასთან კავშირში, ასევე რჩება წინამდგვარი ღმერთში და თავისი საკრებულოს წევრებში. ღმრთის ნებაში ტოტალური გამტკიცება ბერ-მონაზონს სიხარულს განაცდევინებს ყველანაირ მსახურებაში.

მორჩილება განსაკუთრებით შესაძლებელია რწმენით. ბერ-მონაზონი, გამორჩეულად ბაძავს ნეტარ ქალწულ მარიამს, რომლის რწმენა მას ღმრთის ნების მორჩილებაში მიუძღვდა, რათა ღმრთის ძისთვის მოეპოვებინა ამქვეყნიური სამკვიდრო, ისტორიული გაგებით (ლუკ. 1:46-55). მორჩილების აღთქმა ასევე გულისხმობს ცხოვრების დაკარგვას ღმერთში და მასში მის მოპოვებას (შდრ. ლუკ. 9:23-24). იგი იწვევს ადამიანურ და სულიერ სიმწიფეს; ასევე გულისხმობს ცხოვრებაში არსებული სიძნელეების სიხარულით მიღებას. ასეთი სიძნელეები,

თუკი ისინი მიღებული იქნება შინაგანი მხერვალებით, დაეხმარება ბერ-მონაზონს რწმენითა და სიყვარულით შეუერთდეს ქრისტეს ჯვარს. თავად ქრისტე მიანიჭებს გამძლეობის მადლს მას, ვინც მას უერთდება.

(გაგრძელება იქნება)  
ბერმონაზვნობაში მოწოდებულთა კომისია

#### ინტერვიუ

**16-19 აპრილს საქართველოში იმყოფებოდა ტინეგში (კრაკოვის მახლობლად) არსებული ბენედიქტელთა ორდენის მონასტრის აბატი ბერნარდ სავიცკი. მამა ბერნარდი ორი წელია, რაც ამ მონასტერს ჩაუდგა სათავეში. იგი განათლებული პიროვნებაა და თბილისში საქართველო-პოლონეთის ურთიერთობისადმი მიძღვნილ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა. მამა ბერნარდი სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა. როდესაც მას ვთხოვთ, ესაუბრა ჩვენთან „საბას“ მკითხველებისათვის საინტერესო თემაზე, მიუხედავად დროის სიმცირისა, მას უარი არ უთქვამს და სიამოვნებით დათანხმდა ჩვენს თხოვნას.**

ციცინო ხითარიშვილი

— როგორც ვიცით, ბენედიქტელთა ოდენი წმ. ბენედიქტე ნურსიელმა დააარსა, რომელიც V-VI საუკუნეებში მოღვაწეობდა. გვიამბეთ ორდენის საქმიანობის შესახებ, როგორია მისი კრედო და რა არის ის მთავარი, რაც თქვენს ორდენს სხვებისაგან განასხვავებს?

— ორდენი უძველეს დროში შეიქმნა და ერთ-ერთი უძველესი სამონასტრო სტრუქტურაა დასავლეთ ევროპაში. წმ. ბენედიქტე დაახლოებით 445-540 წლებში ცხოვრობდა. მან დაწერა თავისი ორდენის წესდება, რომელიც დღემდე აქტუალურია. უნდა აღვნიშნო, რომ ის ბერმონაზვნური ცხოვრების ყველაზე უძველესი სამონასტრო ტრადიციაა. ჩვენი ორდენის ტრადიციის თანახმად, ბერობის კანდიდატები სამი აღთქმა უნდა დადოს: 1. მორჩილების, 2. ერთ ადგილას დაფუძნების და 3. ქრისტესკენ მუდმივი მოქცევის (მუდმივი განახლების).

ჩვენ არა გვაქვს რაღაც განსაკუთრებული ამოცანა, უპირველესი ამოცანაა საკუთარი ცხოვრებით უფლის განდიდება. ამ მიმართებით ბენედიქტელთა ორდენის ტრადიცია მსგავსია მართლმადიდებელთა სამონასტრო ტრადიციებისა.

ბერის ცხოვრება, ერთი მხრივ, ყოველდღიურად წმ. წერილის კითხვაა, მეორე მხრივ, მედიტაცია, ერთობლივი გალობა, ლოცვა, გარკვეულ სათოებში ლიტურგია – დღეში ხუთჯერ; მესამე მომენტი ფიზიკური შრომაა, რომელიც მონასტრის ბერებს მატერიალური ცხოვრების საშუალებას მისცემს.

წმ. ბენედიქტეს თანახმად, ბერის ცხოვრების იდეალი საკუთარი გარჯით ცხოვრებაა. მონასტრებში ბერებს შეუძლიათ სხვადასხვა სამუშაოები შეასრულონ, ფაქტობრივად ყველაფერი გააკეთონ. ჩვენი მონასტრის შემთხვევაში უმთავრესი ამოცანა მომღლოველობაში მიმავალი სტუმრების მიღება და დაბინავებაა; გვაქვს საკუთარი გამომცემლობა, რომელიც მონასტრის

ცხოვრებაზე გამოსცემს შესაბამის ლიტერატურას; გვაქვს სამრევლოც, რომელზეც ჩვენი მონასტერი დებულობს პასუხისმგებლობას.

ამჟამად ჩვენს მონასტერში 40 ბერი ცხოვრობს, მე ორი წლის წინ ამირჩიეს მონასტრის წინამდგრად.

რაც ჩვენს ორდენს სხვა სამონასტრო გაერთიანებებისაგან გვანსხვავებს, ძირითადად ისაა, რომ ბერი, ერთი მხრივ, მთელი ცხოვრებით უფალზეა მინდობილი, შეიძლება ვთქვათ, რომ ამას რაღაც უნივერსალური განზომილებაც აქვს, მეორე მხრივ, ის იზრდება ადგილობრივ სიკრცეში, ადგილობრივ ხალხს ემსახურება; აქვს განსაკუთრებული სიყვარული ლიტურგიისადმი, დღეში რამდენჯერმე ხდება ლიტურგიის განდიდება, მაგალითად, შესანიშნავი გრიგორიანული გალობებით. სხვა ორდენებს საკუთარი კონკრეტული ამოცანები აქვთ, ბენედიქტებები კი მსგავს ამოცანებს მიზნად არ ისახავენ. კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი ისიცაა, რომ ბენედიქტებებს ერთ ადგილზე ყოფნა ახასიათებთ.

### **— თუ გსმენიათ რამე საქართველოში ბენედიქტებთა ორდენის მოღვაწეობის შესახებ?**

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოში ბენედიქტები მისიონერული მისიით არასოდეს ყოფილან, რადგანაც მათ ერთ ადგილზე ყოფნა ახასიათებთ. ქართული ბერმონაზენული ტრადიცია ასურელი და უგვიპტელი მამებისაგან იღებს სათავეს. წმ. ბენედიქტემ უფრო გვიან შეიტანა დასავლეთში მონასტრული ცხოვრების ტრადიციები. შეიძლება ითქვას, რომ ბენედიქტები უფრო ახალგაზრდა შტოა სირიულ და უგვიპტურ ტრადიციისა, მაგრამ ლათინური ტრადიციისათვის ჩვენ უძველესნი ვართ.

ბერმონაზენული ცხოვრების ძირითადი ტექსტები ბერძნულ და სირიულ ენებზეა შემონახული, რაც ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ დასავლეთში ბერმონაზენობა უფრო მოგვიანებით იღებს სათავეს.

ერთი, რასაც მინდა ხაზი გავუსვა, არის ის, რომ წმ. ბენედიქტე აღმოსავლეთის მიერაცაა აღიარებული, რაც კარგი მომენტია აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების დიალოგის გზაზე.

— მამა ბერნარდ, გავრცელებულია აზრი, რომ ქრისტიანობა უკროპაში დეგრადაციის გზაზეა, ხალხი უფრო და უფრო შორდება ეკლესიას. როგორ ფიქრობთ, პოლონეთშიც შეიმჩნევა მსგავსი ტენდენცია? და, საერთოდ, გვაინტერესებს თქვენი აზრი ამ საკითხის ირგვლივ.

— პოლონეთში ჯერ კიდევ ყველა დადის ეკლესიაში, რაც ყველას უკვირს. მაგალითად, აღდგომამდე აღსარების თქმის მსურველთა რიცხვი ისეთი დიდი იყო, რომ ყველგან რიგები იდგა. მაგრამ მასმედიაში ჩნდება ნეგატიური ინფორმაციები, მაგ., ეპისკოპოსთა ლუსტრაციასთან დაკავშირებით, რაც იწვევს ეკლესიის ავტორიტეტის შერყევას; წინა პლანზე გამოდის მორალური მოქმედებიც, მოკლედ, მასმედია ცდილობს გამოჩხრიკოს ტყუილ-მართალი.

ახალგაზრდა თაობას, რომელსაც არ ახსოვს კომუნიზმი, კარგად ცხოვრობს მატერიალურად, ჩანს, რომ სხვანაირი დამოკიდებულება აქვს ეკლესიის მიმართ. კატეხისტებიც აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდებში შეიმჩნევა გაუცხოება, არასაკმარისი პატივისცემა ეკლესიის მიმართ, მორალური წესების დარღვევა.

როგორც ევროპის მრავალ ქვეყანაში, პოლონეთშიც არიან ოჯახები, რომლებიც ჯვრისწერის გარეშე ცხოვრობენ.

ბევრისთვის რელიგია ტრადიციის რადაც ნაწილია და არა ღრმა განცდა. ეკლესია ამას ხედავს და ცდილობს, შესაბამისი დასკვნა გამოიტანოს. არის მცდელობა, რომ ახალგაზრდებთან მუშაობისათვის ახალი მიდგომები შეიმუშაოს. სახოგადოებას ჯერ კიდევ აქვს ეკლესიის ნდობა, მაგრამ მომავალში როგორ იქნება, ძნელია ამის თქმა.

პოლონეთში მრავალი პოლიტიკური პარტია პოზიტიურადაა განწყობილი ეკლესიის მიმართ. პოზიტიურადაა განწყობილი პრეზიდენტიც, მაგრამ ზოგჯერ ასეთი მიდგომა კარგი არ არის, რადგან ზოგი რადიკალურად განწყობილი კათოლიკე, ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ეს მომენტი.

— მამა ბერნარდ, მამა გრიგოლ ფერაძეს უკანასკნელ წლებამდე საქართველოში ცოტა თუ იცნობდა, არაფერი იყო ცნობილი მისი მოღვაწეობის, მისი მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ. მართალია, ბოლო წლებში რამდენადმე გაუმჯობესდა მდგომარეობა, რამდენიმე ნაშრომიც გამოიცა მის ცხოვრებაზე, გამოიცა მისი ზოგიერთი წერილიც, მაგრამ მაინც, ალბათ, პოლონეთში უფრო იცნობენ მამა გრიგოლ ფერაძეს და უფრო აფასებენ, ვიდრე მის სამშობლოში. თქვენთვის რა არის ცნობილი მის შესახებ?

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მამა გრიგოლ ფერაძე ვარშავის მიტროპოლიტის მიწვევით ვარშავაში ცხოვრობდა და იქ კითხულობდა ლექციებს აღმოსავლური ტრადიციების შესახებ. მას დიდი დამსახურება მიუძღვის იმაში, რომ ქართული კულტურული ტრადიციები პოლონეთში და გერმანიაში გაიტანა.

როდესაც პოლონეთი ნაცისტურმა გარმანიამ დაიპყრო, გრიგოლ ფერაძეს, რომელიც პოლონეთის მოქალაქე არ იყო, შეეძლო გაქცეულიყო, მაგრამ თქვა, რომ მეგობრებს არ ტოვებენ და 1942 წელს ოსვენციმის ბანაკში მოყვასისათვის თავგანწირვით დაასრულა სიცოცხლე.

პოლონეთში ცხოვრების პერიოდში, გრიგოლ ფერაძე სამეცნიერო მოღვაწეობას სამოძღვრო მსახურებასაც უთავსებდა: ის იყო ქართველ ემიგრანტთა მოდგვარი. იმუამად პოლონეთში 108 ქართველი ემიგრანტი ოფიცერი ცხოვრობდა.

ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ ჩვენი საუბრის ფორმატი და შეზღუდული დრო ამის საშუალებას არ გვაძლევს, მაგრამ ერთი ინფორმაცია, რაც შემიძლია გაგაცნოთ, არის ის, რომ ვარშავაში გამოიყო მიწა, სადაც ააშენებენ ქართულ ეკლესიას, რომელიც ამავე დროს კულტურული ცენტრიც იქნება. აქვე გაკეთდება მემორიალური დაფა ქართველების შესახებ.

— რა იყო საქართველოში თქვენი ჩამოსვლის მიზანი, რისი ნახვა მოასწარით ამ მოკლე პერიოდის განმავლობაში და რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე საქართველომ?

— საქართველოში პირველად ვარ. თბილისში ორშაბათ დილით, 16 აპრილს ჩამოვედი, რათა მონაწილეობა მიმედო კონფერენციაში, რომელიც საქართველო-პოლონეთის ურთიერთობებს ეხება ერთიანი ევროპის კონტექსტში.

კონფერენცია, რომელიც ორგანიზებული იყო ადამ მიცვევიჩის ინსტიტუტის მიერ, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა და საქართველოში პოლონეთის პრეზიდენტის ვიზიტსაც დაუკავშირდა.

კონფერენციაზე პოლონეთიდან მეცნიერებთან ერთად, ორი სასულიერო პირიც ვიყავით წარმოდგენილი: მე და ერთი მართლმადიდებელი მდვდელი.

აქ მრავალი ქართველი გავიცანი, რომლებმაც საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს ჩემზე. ვხედავდი გარკვეულ გახსნილობას მათი მხრიდან. აღსანიშნავია, რომ ჩემი გამოსვლის დროს გარკვეული სიმპათიები ვიგრძენი გორის მთავარეპისკოპოსის მხრიდან. ჩემის მხრივ, მეც ვცდილობდი მეჩვენებინა, რომ კათოლიკები სოლიდარულად არიან განწყობილნი და მინდოდა მეც შემეტანა გარკვეული წვლილი თქვენს შორის დიალოგში.

დროის სიმცირის გამო ბევრის ნახვა ვერ მოვასწარი, მაგრამ ყველაზე მთავარი ადამიანებთან ურთიერთობა იყო.

ოთხი დღე ძალიან ცოტაა, რომ გაეცნო ქვეყნის კულტურას და მის მთავარ ღირებულებებს, მაგრამ ამ მცირე დროშიც კარგად ჩანს სიღრმე და სილამაზე ქვეყნის ტრადიციული ფასეულობებისა. ასევე, კარგად ჩანს კომუნისტური რეჟიმის მიერ მემკვიდრეობით დარჩენილი ცოდვებიც. 20-30 წლის წინათ ჩვენთანაც მსგავსი სიღატაკე და უსუსურობა იყო. ჩანს, თითქოს ხალხს ძალა არ ყოფნის საქმის დასაწყებად, მაგრამ დროსთან ერთად და დასავლური ინვესტიციების დახმარებით ყველაფერი გამოსწორდება. ამის თქმის უფლებას მაძლევს წლების წინ პოლონეთში არსებული მსგავსი მდგომარეობა.

საქართველოს და პოლონეთს მსგავსი ისტორიები აქვთ. აქაც იწყება სასიკეთო ძვრები. ხალხი დაინახავს, რომ საკუთარი შრომით რაღაცის გაკეთება შეუძლიათ. თქვენ გყავთ ბევრი ახალგაზრდა ცოდნით აღჭურვილი ადამიანი, რომელთაც საკუთარი ქვეყნისთვის ბევრი კარგის გაკეთება შეუძლიათ. ბევრი ახალგაზრდა ჩართული მეცნიერებაში და პოლიტიკაში, უყვართ სამშობლო და ესაა მთავარი.

სამწუხაოროდ, ბევრს უნდა საზღვარგარეთ წასვლა. მსგავსი სიტუაცია იყო პოლონეთშიც, როდესაც თითქმის 2 მილიონმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა. ჩვენი ქვეყნები ძალიან ძნელად გამოვთავისუფლდით რუსეთის ძალადობისაგან. ჩვენ გაერთიანებული ევროპისაკენ მივისწრაფით, საკუთარი ტრადიციებითა და კულტურული და სულიერი ფასეულობებით. სწორედ ამაშია გაერთიანებული ევროპის ძალა.

საქართველოს უდიდესი პოტენციალი აქვს, რომ აღორძინდეს ეკონომიკურად, ამაღლდეს ცხოვრების დონე და მაღალ ეკონომიკური აღიანსის წევრი ქვეყანაც გახდეს.

## სტატისტიკა

### კათოლიკე ეკლესიის რიცხობრივი რაოდენობა მსოფლიოში

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „საბა“, № 4 2007 წელი)

კათოლიკე ეპისკოპოსთა რიცხვი მსოფლიოში 3714-დან 4784-მდე გაიზარდა, მატება აღინიშნება აფრიკაში, ოკეანეთში და აზიაში.

ცხრ. 2.

ეპისკოპოსების 1978წ., 1988 და 2004 წწ.

მათი გეოგრაფიული განაწილება და პერიოდული ცვლილება

კონტინენტი

ეპისკოპოსები

	რიცხვი			100 %-დან			<b>1978-2004წწ.</b> <b>ცვლილება</b> <b>%-ში</b>
	<b>1978</b>	<b>1988</b>	<b>2004</b>	<b>1978</b>	<b>1988</b>	<b>2004</b>	
აფრიკა	432	487	630	11,63	11,80	13,17	45,83
ამერიკა	1.416	1.589	1.801	38,13	38,51	37,64	27,19
აზია	519	578	682	13,97	14,01	14,26	31,41
ევროპა	1.253	1.365	1.545	33,74	33,09	32,30	23,30
ოკეანეთი	94	107	126	2,53	2,59	2,63	34,04
<b>მსოფლიოში</b>	<b>3.714</b>	<b>4.121</b>	<b>4.784</b>	<b>100,00</b>	<b>100,0</b>	<b>100,00</b>	<b>28,81</b>

თუკი ეპისკოპოსების რიცხვი ზრდადია, მდვდელთა წარმომადგენლობა შემცირდა 3-დან 3,5%-მდე, ანუ 421.000-დან 406.000-მდე. მდველმსახურთა მკვეთრი ზრდა შესამჩნევია მხოლოდ აფრიკასა და აზიაში, ხოლო ევროპაში კლება - 20%-ით, ხოლო ოკეანეთში თითქმის 14%-ით. მოწევე მდვდლებთან ოდნავი ზრდა შეინიშნება, 268000 ერთეულამდე. დიოცეზების გაზრდის ხარჯზე, აფრიკაში გაიზარდა დიოცეზები მდვდლების რაოდენობაც.

ცხრ. 3.

მდვდლები - დიოცეზური და მოწევე - 1978წ., 1988წ. და 2004წ.,

კონტინენტების მიხედვით: პერიოდული ცვლილება

**კონტინტი**

**მუდმივი დიაკვნების რიცხვი**

	ათასი	1978			1988			2004			1978-2004წწ. ცვლილება %-ში		
		ა	მოწვევა	სულ	ათასი	მოწვევა	სულ	ათასი	მოწვევა	სულ	ათასი	მოწვევა	სულ
		გ	გ	გ	გ	გ	გ	გ	გ	გ	გ	გ	გ
აფრიკა	5.	11.419	16.920	9.184	10.081	19.261	20.3	10.9	31.25	269.6	-4,5	84,6	
ამერიკა	60	54.181	120.21	68.411	50.981	119.40	77.7	43.8	121.6	17.66	-19,	1.13	
აზია	12	13.81	27.71	17.781	14.501	32.29	28.4	19.7	48.22	105.5	42,4	74,0	
ევროპა	15	76.321	250.41	159.01	69.411	228.44	139.	60.4	199.9	-19,	-20,	-20,	
ოკეანი	1	2.721	5.571	2.77	2.66	5.44	2.72	2.07	4.798	-4,4	-23,	-13,	
<b>მსოფლი</b>	<b>25</b>	<b>158.4</b>	<b>420.9</b>	<b>257.1</b>	<b>147.6</b>	<b>404.8</b>	<b>268</b>	<b>137.</b>	<b>405.1</b>	<b>2,42</b>	<b>-13,</b>	<b>-3,4</b>	

მუდმივი დიაკვნების რიცხვი 2004 წლისთვის 320000-ია, მამაკაცი მონაზვნებისა - 55000 ერთეული, ხოლო ქალ მონაზვნებისა - 766000 ერთეული. მუდმივი დიაკვნები, დიოცეზური და მოწესებულები ზრდის პროცესშია.

**ცხრ. 4. მუდმივი დიაკვნები 1978წ, 1988წ და 2004 წ.**

**გეოგრაფიული განლაგება და პერიოდული ცვლილებები**

	ათასი	მუდმივი დიაკვნები (დიოცეზური და მოწესებულები)						1978-2004წწ. ცვლილება %-ში	
		რიცხვი			სულ 100-ზე				
		1978	1988	2004	1978	1988	2004		
აფრიკა		91	235	368	1,64	1,50	1,14	304,40	

ამერიკა	4.239	11.489	21.067	76,21	73,24	65,17	396,98
აზია	52	81	148	0,92	0,52	0,46	184,62
ევროპა	1.133	3.781	10.528	20,37	24,10	32,57	829,21
ოკეანეთი	47	100	213	0,85	0,64	0,66	353,19
<b>მსოფლი</b>	<b>5,56</b>	<b>15.686</b>	<b>32.324</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>481,16</b>

სახეზეა ბერ-მონაზონთა კლება, მამაკაცი მონაზვნები 27%-ით, ქალი მონაზვნები 22%-ით.

ცხრ. 5.

**მონაზვნები 1978წ, 1988წ და 2004 წ.  
გეოგრაფიული განლაგება და პერიოდული ცვლილება**

	მონაზვნები						1978-2004წწ. ცვლილება %-ში	
	რიცხვი			მთელის 100-ზე				
	1978	1988	2004	1978	1988	2004		
აფრიკა	35.473	40.789	57.475	3,58	4,53	7,49	62,02	
ამერიკა	300.489	269.967	219.274	30,33	30,01	28,57	-27,03	
აზია	91.585	109.540	150.736	9,24	12,18	19,64	64,59	
ევროპა	546.029	465.273	329.898	55,11	51,72	42,99	-39,58	
ოკეანეთი	17.192	14.075	10.076	1,74	1,56	1,31	-41,39	
<b>მსოფლიო</b>	<b>990,76</b>	<b>899,644</b>	<b>764,459</b>	<b>100,1</b>	<b>100,1</b>	<b>100,1</b>	<b>-22,54</b>	

როდესაც, საეპარქიო თუ თეოლოგიურ სემინარებში სამდვდელოებაში შემსვლელთა რიცხვს გადავხედავთ, აშკარაა, რომ კლებადია მთელი ამ პერიოდების მანძილზე – 1978 წლიდან მათი რიცხვი იყო 64000, ხოლო 2004 წელს – 13000-მდე შემცირდა.

ცხრ. 6.

სამდვდელო კანდიდატები  
1978წ.-1988წ. და 2004წ.: გეოგრაფიული განაწილება, პერიოდული ცვლილება  
სამდვდელო მოწოდებაში

კონტინენტი	მთელის 100-ზე						ცვლილება %-ში 78-04წ	მიღიონ კათოლიკოს			100
	რიცხვი			1978 1988 2004				1978 1988 2004			1978
	აფრიკა	5.63	12.636	22.7	8,82	13,4	20,1	304,38	102,92	154,	153,
ამერიკა	22.0	31.010	36.6	34.4	32,9	32,4	66,65	60,04	69,7	66,8	18,30
აზია	11.5	19.090	29.2	18,0	20,2	25,8	153,29	182,58	226,	257,	41,65
ევროპა	23.9	30.581	23.4	37,4	32,4	20,7	-2,15	89,78	109,	83,9	9,55
ოკეანეთი	78	831	951	1,23	0,88	21,3	139,60	120,96	110,	14,0	15,25
მსოფლიოში	63.8	94.148	113.0	100,1	100,1	100,1	76,96	84,44	104,	102,	15,17

**მსოფლიო კათოლიკური იერარქია**

**1999-2006**

წოდება და	1999	2006
რეზიდენცია		
კარდინალები	156	179
ეპისკოპოსები	4.257	4.662
დიოცეზური	2.422	2.552
ხარისხიანი	1.028	1.974
გადამდგარი	807	1.036
<b>რეზიდენციები</b>	<b>2.659</b>	<b>2.770</b>
საპატრიარქო	13	13

<b>մօրութագո</b>	<b>2</b>	<b>4</b>
սամուզարյանի կուտած		
<b>թուրքականություն</b>	<b>500</b>	<b>525</b>
դաշանական	467	501
զարանեսօն	32	24
սամուզ. առմոնիսթր.	1	8
<b>սամուզարյանի կուտած</b>	<b>73</b>	<b>76</b>
դաշանական	70	69
զարանեսօն	2	4
սամուզ. առմոնիսթր.	1	3
<b>սալամի կուտած</b>	<b>2.071</b>	<b>2.152</b>
դաշանական	1.870	1.958
զարանեսօն	177	185
սամուզ. առմոնիսթր.	24	9
<b>թուրքականություն</b>	<b>2.043</b>	<b>2.062</b>
մուրութագո	92	92
սամուզարյանի կուտած	91	91
սալամի կուտած	1.860	1.879
<b>թավարություն</b>	<b>51</b>	<b>49</b>
<b>ձրյուղաբուլի</b>		
<b>թավարություն</b>	<b>14</b>	<b>11</b>
<b>սամանական</b>		
սալամի կուտած	22	25
սամեցուրություն	33	35
<b>ձրյուղաբուլի</b>	<b>1</b>	<b>1</b>
<b>սամուզական</b>		
զարանեսօն	76	78
<b>սամուզական</b>	<b>46</b>	<b>45</b>
<b>ձրյուղաբուլի</b>		
<b>սամուզական</b>		

ადმინისტრაცია	10	8
იურისდ. მისიები	9	10
საპატრიარქო ეგზარქოსები	8	9
სამთავარეპისკოპ.		
ეგზარქოსები	1	2
<b>საეპისკოპოსო</b>		
<b>კონფერენცია</b>	<b>109</b>	<b>113</b>
საპატრიარქო და სამთავარეპისკოპო ეკლესიების ეპისკოპოსთა სინო და იურისდ. ეკლეს იერარქთა ასამბლე	18	18
<b>საეპისკოპოსო</b>		
<b>კონფერენციის</b>	<b>14</b>	<b>14</b>
<b>საერთაშორისო</b>		
<b>კრებები</b>		

ახალგაზრდული გენერაცი

### **ახალგაზრდებისა და ბზობის დღესასწაული ბათუმის სულიწმიდის ეკლესიაში**

წელს, ბათუმში, ახალგაზრდებისა და ბზობის დღესასწაული განსაკუთრებული იყო. ჩვენთან ერთად ამ დღესასწაულს დასავლეთ საქართველოს კათოლიკე ეხალგაზრდებიც აღნიშნავდნენ.

როგორც ვიცით, პაპამა ორანე პავლე მეორემ, ბზობის დღესასწაულის წინადღეს, კათოლიკე ახალგაზრდებისათვის ურთიერთგაცნობის, აზრთა გაზიარების, უფლის სიტყვის უკეთ შეცნობისა და უფალთან დაახლოების მიზნით, დააწესა ახალგაზრდული შეხვედრები, რომელიც მსოფლიოს ახალგაზრდებისათვის რეგულარულად იმართება სხვადასხვა ქვეყნებში ოთხ წელიწადში ერთხელ, ხოლო ადგილობრივ ეკლესიებში ყოველწლიურად.

ბათუმში შეხვედრა დაწესებულზე ერთი დღით ადრე დაიწყო. პარასკევს ჩამოვიდნენ ახალგაზრდები ქუთაისიდან, ახალშენიდან, ჭიათურიდან, შრომიდან, და ოზურგეთიდან. ეკლესიაში მათ დახვდნენ ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, რომელიც ამ შეხვედრისთვის სპეციალურად ჩამობრძანდა თბილისიდან, ბათუმის საკრებულოს ახალგაზრდები და სხვა წევრები. ჩამოსულ ახალგაზრდებს თან

ახლდნენ: ახალშენის ეკლესიის მოძღვარი, მამა კარლო; მონაზვნები: ლორედანა და უზეფინა; ძმა ედუარდი.

ეკლესიის საკონფერნციო დარბაზში შეკრებილ ახალგაზრდებს სიტყვით მიმართა მეუფე ჯუზეპემ. საუბარი შეეხებოდა დიდმარხვის პერიოდში საკრებულოებში მიმდინარე კატეხიზაციებს, ურთიერთსიუგარულსა და უგელა ქრისტიანისათვის უდიდეს იმედს – აღდგომის მოლოდინს.

საკრებულოს წევრმა თენგიზ პარმაქსიზიშვილმა ახალგაზრდებს გააცნო ბათუმელ კათოლიკეთა ისტორია და დღევანდელობა. ბატონებმა ვიტალი დოლიძემ და თამაზ მღებრიშვილმა ისაუბრეს დამის თავშესაფარსა და „იმედის სახლის“ საქმიანობაზე. სადამოს რვა საათზე უკელანი ეკლესიაში შეიკრიბნენ „ჯვრის გზაზე“. ტრადიციულად, მთელი მსოფლიოს კათოლიკენი ყოველი წლის წითელ პარასკევს ამ გზას გადიან უფლის ვნების მოსაგონებლად. ბათუმის ტაძარში 30 მარტს განვლილ „ჯვრის გზას“ განსაკუთრებული მადლი და ძალა ჰქონდა, რადგან ამ გზას ჩვენთან ერთად გადიოდნენ ეპისკოპოსი და დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდები.

შაბათს დილის 9 სთ-ზე სტუმრები და მასპინძლები ტაძარში შეიკრიბნენ დილის ლოცვაზე, რის შემდეგაც ეპისკოპოსი დაგვემშვიდობა. შეხვედრა კი დადგენილი პროგრამით გაგრძელდა: ახალგაზრდებთან საუბრები მიჰყავდათ მამა კარლოსა და ძმა ედუარდს, ნაჩვენები იყო ფილმი ახალგაზრდების ცხოვრებაზე. შესვენებების დროს მოხალისე ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებაში, შემდეგ ერთად ისადილეს „იმედის სახლში“ და დაიწყო სამზადისი ბზობის წირვისათვის.

ეკლესიის ეზოში მამა გაბრიელებ აკურთხა ბზის ტოტები და შეკრებილი მორწმუნები, რის შემდეგაც, გალობის პანგების თანხლებით, პროცესია ეკლესიისაკენ დაიძრა. ორმა ახალგაზრდამ, რომლებიც ნათლობის საიდუმლოსათვის ემზადებიან, მრევლის წინაშე, საუფლო ლოცვის წარმოთქმით, დაამოწმა თვისი რწმენა.

საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ, სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს დაემშვიდობნენ. თითოეულს შინ მიჰქონდა ნაკურთხი ბზის ტოტი, დიდი იმედი და შეხვედრაზე განცდილი დიდი სიხარული. აღსანიშნავია, რომ ბათუმის სულიწმიდის ეკლესიაში აღსრულებული ბზობის დღესასწაული და ახალგაზრდების შეხვედრა თავიანთ საინფორმაციო გამოშვებებში გააშუქეს აჭარის ტელევიზიამ, აჭარის რადიომ და გაზეომა „აჭარამ“.

### თენგიზ პარმაქსიზიშვილი

## შეხვედრა გალეში

უველამ ვიცით, რომ ბზობის წინა დღე – შაბათი მსოფლიო ახალგაზრდების დღეა. წელს ეს დღე განსხვავებულად ჩატარდა საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდებისათვის. სიახლე ის იყო, რომ ჩვენ, რეგიონების მიხედვით აღვნიშნეთ ჩვენთვის ესოდეს მნიშვნელოვანი შეხვედრა.

31 მარტს სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდებს ვალეს საკრებულო მასპინძლობდა. შეხვედრა დილის 11 სთ-ზე დაიწყო. ერთად შევიკრიბეთ არალის, უდის, ახალციხის, ხიზაბავრისა და ვალეს ახალგაზრდები. წმიდა წირვას მამა ზურაბი, მამა არტური და მამა ზიგმუნდი უძღვებოდნენ; გალობდა ვალეს საკრებულოს გოგონათა გუნდი. წირვის დასრულების შემდეგ, მამა ზურაბმა გაგვაცნო წმიდა მამის, ბენედიქტე XVI-ს წერილი ახალგაზრდებისადმი: „როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისევე შეიყავრეთ ერთმანეთი“ (იოან. 13, 34).

მამა არტურთან ერთად, ახალგაზრდები საკატეხიზაციო სახლში შევიკრიბეთ, სადაც გიტარის თანხლებით ბეგრი ლამაზი გალობა შევასრულეთ. ახალგაზრდებმა ტრაეგზიც ერთად გავიზიარეთ და ეს შესანიშნავი და ლამაზი დღე მხიარული და საზრიანი თამაშებით დავასრულეთ.

**თამრიკო ჩიტაშვილი**

## ახალგაზრდების დღე

2007 წლის 31 მარტს, ბზობის წინადლეს, შაბათს მეუფე ჯუზეპე პაზოტოსა და მარიამის აღყვანების ტაძრის მოძღვრის, ასევე, წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიის მოძღვრების ინიციატივით თბილისის საკათედრო ტაძარში ეპარქიულ დონეზე ჩატარდა ახალგაზრდების შეხვედრა. მასში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის კათოლიკე საკრებულოებისა და გორისა და ახალხიზის ახალგაზრდები. დაახლოებით 60 ახალგაზრდა შეიკრიბა. დღის მთავარი თემა იყო პაპ ბენედიქტე XVI-ის გზავნილი ახალგაზრდებისადმი, რომელიც ახალგაზრდა გოგონებსა და ვაჟებს შორის ჭეშმარიტ სიყვარულზე მოგვითხრობს.

შეხვედრა 12 საათზე, მარიამის ზეცად აღყვანების ტაძარში ადორაციით დაიწყო. შესაძლებლობა გვქონდა ადორაციის დროს მოგეხსმინა ნაწყებები პაპის წერილიდან, რომელიც ასე კარგად მოამზადეს და წაიკითხეს თბილისის, გორისა და ახალხიზის გოგონებმა. შუალედებში ყველას ქონდა შესაძლებლობა, ან სიჩუმეში დარჩენილიყო, ან კიდევ ელოცა მუსიკალური ნაწარმოებების ფონზე, რომელსაც ასრულებდნენ შოთა (საკათედრო ტაძრიდან) და გელა (არლიდან).

ადორაციის შემდეგ, რომელიც თითქმის საათი გრძელდებოდა, ახალგაზრდები დარბაზში მიიწვიეს ფილმის – „კუნძული“ – სანახავად. ეს იყო ლამაზი ფილმი კუნძულზე მცხოვრებ ერთ ბერზე. ჩვენ ჩავერთეთ ამ, ერთი შეხედვით, უცნაური ბერის ცხოვრებაში და შევძელით მისი სახით დმრთის გლახაკთა ცხოვრებას გავცნობოდით. ფილმის ჩვენებისას წარმოქმნილმა უმნიშვნელო ტქნიკურმა გაუგებრობამ საშუალება მოგვცა მცირე შესვენება გაგვეკეთებინა და ტრაპეზი გაგვეზიარებინა. სამზარეულოში, ჩვენს დიასახლისებთან, ნადიასა და თეასთან ერთად ჩვენი ორი გოგონა ხაჭაპურებს აცხელებდა და ერთი აუიოტაჟი იდგა. ყმაწვილებს კი წვენები მოჰქონდათ.

ახალგაზრდებს შორის სასიამოგნო ატმოსფერო სუფენდა. ეს იყო ერთმანეთის გაცნობის, ან ძველი მეგობრების ნახვის შესანიშნავი შესაძლებლობა.

ასევე იმის შესაძლებლობაც, რომ ერთმანეთისთვის ჩვენი სულიერი გამოცდილებები გაგვეზიარებინა.

შეხვედრა კვლავ შეხვედრის იმედით, ლოცვითა და კურთხევით დასრულდა.

მიშა სურმავა

## სარჩევი

რედაქციის გვერდი  
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში  
კათოლიკე ეკლესია საქართველოში  
ქრისტიანული ოჯახი  
სულიერება  
ინტერვიუ  
სტატისტიკა  
ახალგაზრდული გვერდი

საგანგებო ჩანართი:  
ეკლესიის მონაწილეობა ადამიანთა საზოგადოების  
ამქვეყნიურ განხორციელებაში

## რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი  
ნუგზარ ბარდაველიძე  
ნატო ბიგვავა  
ვერიკო ნოზაძე  
მერაბ ლალანიძე  
ზაზა შათირიშვილი  
ციცინო ხითარიშვილი

## მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4

ტელ.: 98-95-16

რეგისტრაციის № 1853

დაარსდა 1994 წ.

მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2007

ეკლესიის მონაწილეობა ადამიანთა საზოგადოების  
ამქვეყნიურ განხორციელებაში

ვატიკანის II კრების კონსტიტუცია

## “Gaudium et Spes”

### საგანგებო ჩანართი

ვატიკანის II მსოფლიო კრების მეოთხე კონსტიტუცია “თანამედროვე სამყაროში ეკლესიის შესახებ” (ლათინური ტექსტის პირველი სიტყვებია “Gaudium et Spes”), გამოცემული პაპ პავლე VI-ის მიერ 1965 წლის 7 დეკემბერს, კრების დახურვის (8.12.1965) წინა დღეს, აბსოლუტური სიახლეა საეკლესიო კრებათა ისტორიაში, რადგანაც ადამიანთა ისტორიის პრობლემას სარწმუნოებრივი თვალსაზრისიდან იხილავს. თვით კონსტიტუციის პირველ თარგმანებში, ნაცვლად ლათინურ ტექსტში გამოყენებული ფორმულირებისა “ეკლესია სამყაროში”, საუბარია ეკლესიასა “და” სამყაროზე, რაც სამყაროსთან დაპირისპირებული ეკლესიის უკვე ჩვეული ხედვის გამოვლინებაა, თითქოს ეკლესია სიკეთის განსახიერებაა, სამყარო კი “სოფელი, რომელიც ბოროტში ძევს”. ეს უკანასკნელი ფრაზა ბიბლიიდან აღებული ციტატაა (1 იოან. 5,19) და კაცობრიობის დმრთისგან დაშორებაზე მიუთითებს, თუმცა ბიბლიიდანაა აღებული იოანეს მიერ ნათქვამი შემდეგი სიტყვებიც: “რადგან იქამდე შეიყვარა ღმერთმა სოფელი, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე... რათა გადარჩენილიყო სოფელი მის მიერ” (იოან. 3,16-17), სადაც სამყარო მთელი კაცობრიობაა, სიყვარულისა და ხსნის საგანი.

კრების მონაწილე მამები კრების გახსნისთანავე ფიქრობდნენ კაცობრიობისადმი მიმართულ უწყებაზე, თუმცა, საგაუროდოა, რომ შემდეგ უფრო საპასუხისმგებლო დოკუმენტის შექმნა და უფრო თანამგრძნობი ტონის არჩევა მათ უკარნახა ენციკლიკამ *Pacem in terris* (1963 წლის აპრილი), რომელიც პაპმა იოანე XXIII-მ სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე გამოაქვეყნა და რომელიც სწორედ მშვიდობის თემას ეხება. პირველად მოხდა, რომ თავის ენციკლიკაში პაპი არა ვიწრო რელიგიურ, არამედ “ადამიანურ” თემას შეეხო, რითაც ცხადად გამოხატა, რომ ეკლესია არა მხოლოდ მორწმუნეთა “დედა და მასწავლებელია” (როგორც ამტკიცებდა 1961 წლს, ლეონ XIII-ის *Rerum Novarum*-ის გამოქვეყნებიდან სამოცდათო წლის შემდეგ მიღებული ენციკლიკა), არამედ ასევე “კეთილი ნების ყველა ადამიანის” და და თანამგზავრი.

ენციკლიკის “*Pacem in terris*” მიერ გამოწვეულმა რეზონანსმა და კეთილგანწყობამ განამტკიცეს კრების მამათა განზრახვა, შეექმნათ ადამიანის ბუნებისა და ჩვენი დროის ცაკლეული სახასიათო პრობლემებისადმი მიძღვნილი დოკუმენტი. ეს გზა არ ყოფილი იოლი: დოკუმენტისათვის სათაურის მოქებნაც კი განსჯის საგნად იქცა... დასასრულ, ხანგრძლივ და მომქანცველ დისკუსიათა შემდეგ, კრების მიწურულს, 1965 წლის 7 დეკემბერს პაპმა და ეპისკოპოსებმა ხელი მოაწერეს ამ კონსტიტუციას საბოლოო სათაურით.

კრების კონსტიტუცია “Gaudium et Spes” უაღრესად მდიდარი ტექსტია. მასში განხილული მთავარი საკითხები შეეხება ეკლესიის მორგებას თანამედროვე სამყაროს ახალ რეალიებთან, იმ დახმარებას, რომლის გაწევაც შეუძლია ეკლესიას ადამიანური განვითარებისთვის და ქრისტიანთა და არაქრისტიანთა შორის ურთიერთობას. პრობლემათა ამ სიმრავლეში გასარკვევად სასურველია გავიხსენოთ, თუ რამ განაპირობა ამ დადგენილების

შექმნა და რა იქცა მის უმთავრეს მიზნად, ანუ საკითხი ადამიანთა საზოგადოების მიწიერ განხორციელებაში ეკლესიის წვლილის შესახებ.

კონსტიტუცია ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი სამყაროში არსებული დადებითის შეფასებისას: ის თითქოს გვარწმუნებს იმაში, რომ ადამიანურ ცოდვებს არ ძალუდს ღმრთაებრივი შემოქმედების სიკეთის მთლიანად გაქარწყლება (შექმნილ საგანთა და არსებათა ჩამონათვალის შემდეგ ბიბლიის პირველ გვერდზე მეორდება “...და იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო...”). შესაძლოა, აქ წმ. თომას მშვიდი თპტიმიზმი ჭარბობდა ავგუსტინესულ პესიმიზმს, ვისაც საკუთარი ცოდვილი გამოცდილებიდან მომდინარე იმედგაცრუება და იმჟამინდელი სამწუხარო ვითარება უმძიმებდა გულს. ეს კრების მონაწილე მრავალმა მამამ აღნიშნა, რომლებმაც უბიძეს უმრავლესობას, ყოველი თავის შემდეგ ტექსტში ჩაემატებინათ მიმართვა იესო ქრისტესადმი, ვისი მოვლენის გათვალისწინებითაც შეიქმნა ყოველივე. ამგვარად, პირველ თავებში საუბარია “ქრისტეზე, ახალ ადამიანზე”, “განკაცებულ სიტყვასა და ადამიანურ სოლიდარობაზე”, “ახალ მიწასა და ახალ ზეცაზე”, თუმცა ცალკეული პრობლემებიც ქრისტეს და მისი ხსნის შუქზე განიხილება.

თავისი სიახლის გამო ეს კონსტიტუცია ზოგჯერ თითქოს არ ჩქარობს მკაფიო პოზიციათა დაკავებას. თემის გასაღრმავებლად, ალბათ, კრების მეხუთე სესია იყო საჭირო, თუმცა ეპისკოპოსები ხანგრძლივმა და ხარჯიანმა მოგზაურობებმა გადადალა (ერთ-ერთი მათგანი იმასაც ამბობდა, რომ შიში ჰქონდა, მისი დიოცეზი იმ დასკვნამდე არ მისულიყო, რომ მის გარეშეც შეეძლო არსებობა!). კველა შემთხვევაში, კონსტიტუცია ეკლესიის “სრულწლოვანების” შესახებ უკანასკნელი მკაფიო მინიშნება.

პირველ საუკუნეებში ეკლესია ფაქტობრივად არ იჩენდა სამყაროსადმი ინტერესს, რადგანაც “მწირად და ხიზნად” (1 პეტ. 2,11) გრძნობდა თავს, შეა საუკუნეებში კი საკუთარი ხედვა მოახვია თავს სამყაროს. ხოლო ამჟამად, როგორც კულტურათა, ისე რელიგიათა თვალსაზრისით უკვე სეკულარიზებულ და პლურალისტურ სამყაროში ეკლესიამ გააცნობიერა, რომ უნდა ემსგავსოს საფუარს, რომელიც ცომის მასაში იკარგება, რათა ის ახალ სამყაროდ გადაქცევისთვის შეამზადოს: უკვე სამყარო კი აღარაა ეკლესიისთვის, არამედ ეკლესია – სამყაროსთვის, რათა კველა არსებამ საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობათა შესაბამისად იღვაწოს საშენებლად ღმრთის სასუფევლისა – სამყაროსი, როგორადაც სურს ის იხილოს ღმერთს და როგორადაც იქნა ის ჩაფიქრებული ქრისტეში.

კონსტიტუციის მეორე ნაწილი მთლიანად ამ მიზანს ემსახურება. პირველი ნაწილის მიზანი კი მეორისთვის თეოლოგიური საფუძვლის შექმნაა. ტერმინი “სამყარო” აღნიშნავს ადამიანთა საზოგადოებას მის დროით განხორციელებაში, მისი ორმაგი – მატერიალური და სულიერი – თვალთახედვით. ამ საზოგადოების ესქატოლოგიური მიზანი ღმრთის სასუფევლია, თუმცა ამავე დროს მას აგრეთვე საკუთარი, საეკლესიოსგან განსხვავებული მიზნები და ფორმებიც გააჩნია. კონსტიტუციის “Gaudium et Spes” საგანი ამ ორ საზოგადოებას შორის დიალოგია.

რას ნიშნავს ეკლესიასა და სამყაროს შორის დიალოგი? უპირველესად, ნათელია, რომ ეკლესიასა და სამყაროს შორის ურთიერთობა სხვადასხვა ფორმით შეიძლება წარიმართოს. ეს ფორმები პავლე VI-მ აღწერა ენციკლიკაში

“Ecclesiam suam”. მასში ნათქვამია, რომ ეკლესიას შეუძლია “განიზრახოს სამყაროსთან თავის ურთიერთობათა მინიმუმამდე დაყვანა, საერო საზოგადოებასთან კავშირისგან თავის დაღწევის მცდელობაში”. სამყაროსგან განცალკევების ამგვარი დამოკიდებულების არჩევა ეკლესიას შეუძლია საერო საზოგადოებასთან კონფლიქტის დროს, როცა საკუთარი მთლიანობის დაცვის უშუალო აუცილებლობას გრძნობს ან იმ შემთხვევაში, როცა საერო საზოგადოება უარს ამბობს ეკლესიასთან ურთიერთობაზე, როგორც ეს ლაიციზმის შემთხვევაში ხდება. ენციკლიკაში აგრეთვე ნათქვამია, რომ, საპირისპიროდ, ეკლესიას “იმდენად შეუძლია დაუახლოვდეს საერო საზოგადოებას, რომ მასზე უპირატესი გავლენის მოხდენა ან თეოკრატიული ბატონობის დამყარება სცადოს”. ასეთ ვითარებაში ეკლესიასა და სამყაროს შორის უწესრიგობა სუფევს. ის შეიძლება მდგომარეობდეს ეკლესიის მცდელობაში, იბატონოს საერო საზოგადოებაზე (რაც თეოკრატიული სულისკვეთების აღმოცენებას განაპირობებს), ან სამყაროს რეალობათა მიმართ ეკლესიის დაქვემდებარებაში (რაც იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ქრისტიანობა მხოლოდ დროებითი თვალსაზრისით მისი ქმედითობის კუთხით განიხილება).

ურთიერთობათა ამ ორ სახეობას პავლე VI მესამეს – დიალოგს უპირისპირებს: “მიგაჩნია, რომ სამყაროსთან ეკლესიის ურთიერთობა, სხვა კანონიერ ფორმათა შეუზღუდავად, უკეთ შეიძლება ჩამოყალიბდეს დიალოგში”. ამ შემთხვევაში “დიალოგი”, თავდაპირველად ნახსენები ორი პოზიციისგან განსხვავებით, ერთი მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ეკლესიისა და სამყაროს რადიკალური განცალკევების ნებისმიერი კონცეფციის საპირისპირო, მათ შორის აუცილებელი ურთიერთობა არსებობს; მეორე მხრივ კი იმას, რომ ურთიერთობა უნდა გამოიხატოს არა სამყაროზე ეკლესიის ბატონობის ფორმით, არამედ თანამშრომლობის სახით, რომელიც გულისხმობს ერთმანეთის დამოუკიდებლობის პატივისცემას. უეჭველია, რომ ეკლესია და საერო საზოგადოება ერთსა და იმავე განზომილებაში არ განთავსდება. საერო საზოგადოების საბოლოო მიზანიც ასევე ღმრთის სასუფეველია, თუმცა სამყაროს არსებულ წყობაში ის კანონიერი დამოუკიდებლობით სარგებლობს საეკლესიო საზოგადოებასთან მიმართებაში. ენციკლიკაში ნათქვამია, რომ ამის მიზეზია “როგორც სასულიერო წოდების მქონე, ისე საერო ადამიანის მოწიფულობა, ვინც სამოქალაქო აღზრდის შედეგად ფლობს უნარს იფიქროს, იაზროვნოს, დირსეულად ჩაებას დიალოგში”. ამასთან, ეკლესიასა და სამყაროს შორის დიალოგი აგრძელებს და ბაძავს იმ პირველსაწყის და სამაგალითო დიალოგს, რომელიც ღმერთსა და ადამიანს შორის იმართება.

ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიისა და სამყაროს ურთიერთობაში მუდმივად არსებობს ცალკეული განსაკუთრებული ნიშნები, რომელიც ვრცლადაა მიმოხილული როგორც კონსტიტუციაში “Gaudium et Spes”, ისე ენციკლიკაში “Ecclesiam suam” და რომელთა დაზუსტებაც აუცილებელია.

როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიისა და სამყაროს დიალოგი ეკლესიასთან მიმართებაში საერო მოწყობის ავტონომიის აღიარებას გულისხმობს. კონსტიტუცია “Gaudium et Spes” ხაზს უსვამს ამ საკითხს პირველი ნაწილის III თავში: “თუ საერო სინამდვილის ავტონომიაში იგულისხმება, რომ შექმნილ არსებებსა და იმავე საზოგადოებებს საკუთარი კანონები და ღირებულებები

გააჩნიათ, რომლებიც ადამიანმა თანდათანობით უნდა აღმოაჩინოს, გამოიყენოს და მოაწესრიგოს, ამ შემთხვევაში საუბარია სამართლიან აუცილებლობაზე, რომელიც არა მხოლოდ თანამედროვე ადამიანთა მოთხოვნაა, არამედ შემოქმედის ნებასაც შეესატყვისება”. ეს ავტონომია უკავშირდება ბუნებრივ ღირებულებათა არსებითობას მათ წესრიგში, იქნება საუბარი მეცნიერულ დისციპლინებზე, ეკონომიკურ კანონებზე თუ ხელოვნებაზე. აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი წესრიგის არსებობის აღიარების გარეშე ამ კანონიერი ავტონომიისთვის საფუძვლის მიცემა ძალიან რთულია.

თუმცა, ნათქვამია ტექსტში, ეკლესიასთან მიმართებაში ეს ავტონომია არ ნიშნავს იმას, “რომ შექმნილი სამყარო ღმერთზე არაა დამოკიდებული”, რასაც მცდარად ირწმუნება თანამედროვე სეკოლარიზმი. ეკლესია არ განიხილავს სამყაროს, როგორც წმინდა საერო ერთეულს: ის ონტოლოგიურად ღმერთთან კავშირშია. ეკლესიისა და თანამედროვე სამყაროს დიალოგის პრობლემაზე მსჯელობისას პავლე VI ხაზს უსვამს ღმერთსა და ადამიანს შორის ამ თავდაპირველ დიალოგს: “აი ესაა დიალოგის ტრანსცენდენტური საწყისი. ეს საწყისი თვით ღმერთის განზრახვაში მდგომარეობს. თვითი ბუნებით რელიგია ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობაა”. კონსტიტუცია “Gaudium et Spes” აგრეთვე იწყება მტკიცებით, რომ ღმერთთან დიალოგი არსებითია ადამიანური ბუნების მთლიანობისთვის: “ადამიანი დაბადებიდანვე მოხმობილია ღმერთთან დიალოგისკენ: მართლაც, ის მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ღმერთის მიერ სიყვარულითაა შექმნილი, ღმერთი უნარზუნებს მას არსებობას სიყვარულით და ადამიანი სრულყოფილად არ ცხოვრობს ჭეშმარიტებაში, თუ თავისი ნებით არ შეიცნობს ამ სიყვარულს”. სამყაროს შექმნას პავლე VI დიალოგის თვალთახედვიდან განიხილავს და იმავე თვალსაზრისით აღწერს ცოდვასაც: “ღმერთსა და ადამიანს შორის მამაშვილური და წმიდა საუბარი პირველი ცოდვის მიზეზით შეწყდა”. (8)

უნდა დავძინოთ, რომ, კონსტიტუციის თანახმად, ღმერთსა და ადამიანს შორის დიალოგი მხოლოდ ადამიანს კი არ შეეხება, არამედ მთელ სამყაროს. მთელი სამყარო (და, მაშასადამე, კოსმოსი, საზოგადოება, კულტურა) ღმერთისგან მოდის და არსებითად კეთილია. ქრისტეს მადლით განახლებული ადამიანი ამ სამყაროს ნიჭის სახით იღებს და მესაკუთრის დამოკიდებულებით კი არ ფლობს მას, არამედ ახსოვს, რომ ის ღმერთის ნიჭია: “მართლაც, ქრისტეს მიერ ხსნილსა და სულიწმიდაში ახალ ქმნილებად ქცეულ ადამიანს შეუძლია და უნდა უყვარდეს ასევე ღმერთის მიერ შექმნილი საგნებიც. ის მათ ღმერთისგან იღებს და ისე განიხილავს და ეთაყვანება, როგორც ღვთის ხელით ამჟამად შექმნილთ. ადამიანი მათ გამო მადლობას უხდის კეთილისმყოფელს, ქმნილებებს სიღატაკი და თავისუფალი სულით იღებს და ამგვარად ნამდვილად ფლობს სამყაროს, ერთსა და იმავე დროს “არარას მქონე და ყოვლის მფლობელი””.

მაშასადამე, სამყარო, როემდსაც ეკლესია მიმართავს, ის სამყაროა, რომლისთვისაც ღმერთი უცხო არაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამყაროსთან თავის დიალოგში ეკლესია არ განიხილავს მას რეალობად, რომლისთვისაც ის უცხო შეიძლება იყოს.

კონსტიტუციის “Gaudium et spes” IV თავში და ენციკლიკის “Ecclesiam suam” მეორე ნაწილში ეკლესიის სამყაროსთან დიალოგის განხილვისას ხაზგასმით

აღინიშნება, რომ ეკლესია სამყაროს ნაწილია. ენციკლიკაში ვკითხულობთ: “ეკლესია არაა გამოყოფილი სამყაროსგან, არამედ მასში ცხოვრობს” და, აგრეთვე: “საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკლესია კაცობრიობაშია ჩაფლული, მის ნაწილს წარმოადგენს, მისგან იღებს თავის წევრებს”. ეკლესიას არასოდეს დასჭირებია “სამყაროში შესვლა”, რამეთუ დასაბამიდანვე თავადაც მისი ნაწილია. ისტორიული თვალსაზრისით ყოვლად მცდარია წარმოდგენა, თითქოს თავდაპირველად ეკლესია თავისთავად არსებობდა და მხოლოდ შემდეგ დაიწყო დიალოგი სხვადასხვა კულტურებთან. პირველი ქრისტიანები და თავად ქრისტე მკაფიოდ განსაზღვრული საზოგადოების წევრები იყვნენ: სწორედ ამ საზოგადოებას და კულტურას და არა მხოლოდ პიროვნულად ადამიანს, ექადაგა სახარება მათში. ეკლესია, შემდგარი ადამიანთაგან, რომლებიც ისტორიულად და გეოგრაფიულად მკაფიოდ განსაზღვრულ კულტურებს მიეკუთვნებიან, ამ განსხვავებულ კულტურათა სახასიათო პირობების შესაბამისად უნდა იქნას განცდილი.

მაშასადამე, შეუძლებელია სამყაროსთან ეკლესიის დიალოგი ორი კატეგორიის პირთა შორის დიალოგამდე დავიყვანოთ. საჭიროა განვასხვავოთ: თუ “სამყაროს” კულტოდებთ მიწიერ ქალაქს საკუთარი მიზნობრიობით, რომელიც მას საეკლესიო საზოგადოებას უპირისპირებს, ცხადია, რომ ერთი და იგივე პიროვნება ორივე ამ საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს. მეტიც, ქრისტიანულ ერებში, სადაც მოქალაქეთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მონათლულია, ეს სავსებით ჩვეულებრივი ვითარებაა. ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა მონათლული რომ იყოს, ეკლესიასა და სამყაროს შორის დიალოგის პრობლემა მაინც წარმოიშვებოდა, რამეთუ ესაა დაილოგი ორ განზომილებას შორის იმ ადამიანთა სულის სიღრმეში, რომელნიც ორ სხვადასხვა საზოგადოებას მიეკუთვნებიან. კერძოდ, ამ პრობლემასთან პირისპირ დაგვომა უხდებათ ქრისტიან საეროებს, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ეკლესიისა და საერო საზოგადოების შენებაში იღებენ მონაწილეობას. ამ ფაქტის ხაზგასმა მნიშვნელოვანია იმის განსამარტავად, რომ სამყაროსთან ეკლესიის დიალოგი სრულიად არ უკავშირდება კონფესიათა თუ იდეოლოგიათა პლურალიზმის პრობლემას: ეს ორი განსხვავებული პრობლემაა.

ამ დიალოგთან დაკავშირებით, რა დახმარებას სთავაზობს ეკლესია საერო საზოგადოებას? ეს ძირეული შეკითხვაა დადგენილებისთვის “Gaudium et Spes”, რომლის მიზანიც სწორედ თანამედროვე კულტურის პრობლემათა გადაჭრაში ეკლესიის წვლილისთვის თეოლოგიური საფუძვლის მიცემაა. აქ, მსგავსად იმისა, როგორც ეს პავლე VI-მ გააკეთა ენციკლიკაში “Ecclesiam suam” შემდეგი არები უნდა განვასხვავოთ: “არსებობს პირველი, უზარმაზარი არე, რომლის საზღვრებსაც ერ გხედავთ, ისინი პორიზონტს ერთვის, ანუ ეხება მთელ კაცობრიობას, სამყაროს... ყველაფერი ის, რაც ადამიანურია, ჩვენ გვეხება”. ეს პირველი არე მატერიალური რეალობის არეა. თუმცა ორი ასპექტი მაინც უნდა გამოვყოთ. ქრისტიანები, როგორც სამყაროს მოქალაქენი, მატერიალური პროგრესის ხელისშემწყობნი არიან. დადგენილების “Gaudium et Spes” პირველი ფრაზა ამას ერთმნიშვნელოვნად აცხადებს: “დღევანდელი ადამიანის, უმთავრესად – ლარიბთა და ტანჯულთა სიხარული და იმედი, ნაღველი და მწუხარება აგრეთვე ქრისტეს მოწაფეთა სიხარული და იმედი,

ნადველი და მწუხარებაა და ყოველივე წრფელად ადამიანური მათ გულში პოვებს გამოხმაურებას”.

თუმცა ამ პირველ საფეხურზე ქრისტიანები საზოგადოების ცხოვრებაში სხვებთან თანაბრად მონაწილეობენ: ამას აკეთებენ არა როგორც ქრისტიანები, არამედ როგორც მოქალაქეები. ვატიკანის II კრება მათ მხოლოდ ერთ მიმართვას უგზავნის: უკეთესი მოქალაქეები იყვნენ, თუკი ოდესმე სამყაროსგან იზოლირების ცდუნება იგრძნეს. ამ ზოგადი შემთხვევიდან სხვა შემთხვევას განვასხვავებდი, ანუ წვლილს, რომელიც შეაქვს მატერიალურ პროგრესში ეკლესიას: მიუხედავად იმისა, რომ ეს უშეალოდ მის მისიას არ წარმოადგენს, ეკლესიას შეუძლია შემგულიანებლისა და თანაშემწის როლი შეასრულოს და იცავს თავის უფლებას, იმოქმედოს ამგვარად. სწორედ ეს ხდება, როდესაც პაპი შუამავლის მისიას კისრულობს ერთა შორის კონფლიქტებში ან როდესაც ეკლესიის ცაკლეული ინსტიტუტები სოციალურ პრობლემათა გადაჭრაში იღებენ მონაწილეობას (კარიტასი, დამხმარე ორგანოები, სკოლები და სხვა). ეკლესია მოხარულია, თუკი მისი ინიციატივები ნოვატორული და სანიმუშო აღმოჩნდება საზოგადოებრივ წამოწყებათათვის და ზრუნავს იმაზე, რომ ქრისტიანული ინიციატივის სახელი იმდენად ძალაუფლების ნიშანი ან გარანტია კი არ იყოს, რამდენადაც საყოველთაო ინიციატივათა სტიმული და ნიმუში.

აქედან მომდინარეობს პონტიფიქების მომდევნო დოკუმენტებში ესედენ მკაფიოდ გამოკვეთილი ძალისხმევა, მიმართული სამართლიანობისა და მშვიდობის დუღაბად ეკლესიის გადაქცევისკენ. საეკლესიო კრებიდან ორი წლის შემდეგ (1967) პავლე VI-მ გამოაქვევნა ენციკლიკა “Populorum progressio”, რომლის სათაური უკვე მიგვითითებს, რომ მშვიდობის ახალი სახელი სწორედ “ხალხთა განვითარებაა”. ოცი წლის შემდეგ (1987) ენციკლიკაში “Sollicitudo rei socialis” იოანე პავლე II-მ დაასკვნა, რომ ახლანდელი მშვიდობის სახელი სოლიდარობაა. პონტიფიქების კომისიის “სამართლიანობა და მშვიდობა” ჩამოყალიბება ადასტურებს ეკლესიის მეთაურთა ყურადღებას უკეთ საჭიროობრივ სოციალური პრობლემისადმი კაცობრიობისა, რომელსაც პაპი და ეპისკოპოსები მუდმივად მიმართავენ შეგონებებითა და მოწოდებებით.

მეორე საფეხური უკვე არა მატერიალურ პროგრესს, არამედ საერო ცხოვრების სულიერ შინაარსს შეეხება. აქ სამყაროსა და ეკლესიას შორის დიალოგის არსეს ვუდრმავდებით. ცივილიზაციას მხოლოდ მატერიალური პროგრესი არ შეადგენს: “ტექნიკური დარგების პროგრესს შეუძლია, ასე ვთქვათ, მატერიის მიწოდება კაცობრიობის წინსვლისთვის, თუმცა მხოლოდ ეს პროგრესი არავითარ შემთხვევაში არაა საკმარისი მის განსახორციელებლად”. ცივილური საზოგადოება იმდენადაა ადამიანური, რამდენადაც, როგორც ტესტი იუწყება, “შეესაბამება კაცობრიობის ნამდვილ სიკეთეს, ღმერთის ჩანაფიქრისა და ნების თანახმად”. ამგვარად, დაისმის ადამიანური არსებობის მნიშვნლობის პრობლემა და სწორედ ამ საკითხს ეძღვნება დადგენილების “Gaudium et Spes” პირველი სამი თავი. მათში ადამიანი აფწერილია, როგორც თავისუფლების, სიყვარულის, უკვდავების მატარებელი და ობიექტური სიკეთისა და ჭეშმარიტების წვდომის უნარის მქონე ყოველივე ეს განსაკუთრებულად ქრისტიანულ ხასიათს არ ატარებს: ქრისტიანი არც აქ განსხვავდება ნებისმიერი ადამიანისგან, ვინც ამ ადამიანურ დირებულებებს ძირეულად აღიარებს. ამიტომაც დადგენილების ეს თავები არა საკუთრივ გამოცხადებას, არამედ

საზოგადო ადამიანურ ჭეშმარიტებებს მიემართება. ოოდესაც ქრისტიანი საერო საზოგადოების მიზანთა სამსახურში აყენებს საკუთარ თავს, სხვა მოქალაქეთა მსგავსად და მათთან თანამშრომლობით ის არა ქრისტიანის, არამედ მოქალაქის ფუნქციას ასრულებს.

ამავე დროს საერო ქრისტიანი ღმერთის კანონზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული სოციალური წესრიგის დამყარებისკენ ისწრაფვის. მეორე მხრივ, ეკლესია, ვისი ძირეული მისიაც ადამიანის მისი ზებუნებრივი დანიშნულებისკენ მიმართვაა, ამ მისის ძალით ბუნებრივი წესრიგის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს. ამგვარად ეკლესიას სრული უფლება აქვს ჩაერიოს (რასაც აკეთებს კიდეც დადგენილების მეორე ნაწილში) არა ტექნიკურ გადაწვეტათა შემოთავაზების მიზნით, არამედ იმ ზნეობრივ პრინციპთა დასაწესებლად, რომლებიც ტექნიკურ მონაცემებს საერო საზოგადოების მიზნებისკენ მიმართავს: ეკლესია იმით შემოიფარგლება, რომ ეხმარება ადამიანთა საზოგადოებას, იყოს საკუთარი თავის შესაბამისი. დიალოგი ამ შემთხვევაშიც ზუსტი გადაწყვეტაა, რადგანაც ის ეწინააღმდეგება როგორც კლერიკალიზმს, ისე სეკლლარიზმს: დიალოგი გამოხატავს სულიერების აუცილებელ წვლილს ადამიანური კულტურის ჩამოყალიბებაში.

ეკლესიასა და სამყაროს შორის დიალოგის ბოლო საფეხური თვით ეკლესიის არსისგან წარმოდგება, რაც ადამიანთა მათი ზებუნებრივი დანიშნულებისკენ გაძლოლაა. ამ შუქზე ეკლესია უპირისპირდება საერო საზოგადოებას, რადგანაც მისგან განსხვავებულ საბოლოო მიზანს ესწრაფვის. ამ ეტაპზე დიალოგის ორი ასპექტი უნდა გამოვყოთ. ერთი მხრივ ეკლესია აუცილებლადად დამოკიდებული საზოგადოებაზე, რომელშიც ცხოვრობს: მასზეა დამოკიდებული თავისი თავისუფლებით, ეკონომიკური ინფრასტრუქტურითა და კულტურული სივრცის თვალსაზრისით. სამყაროში, რომელიც სოციალიზაციის გზას ადგას, ეს ფენომენი აუცილებლად აქცენტირდება. აქედან მომდინარეობს ეკლესიის მზარდი აუცილებლობა, ურთიერთობა ჰქონდეს საერო ხელისუფლებასთან. ეს ურთიერთობა განსხვავებული იქნება წარსულში არსებულისგან. თავის მოტყუება იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს თავ-თავიანთი გზით სვლა და ერთმანეთის უგულველყოფა შეუძლიათ: ეს დამდუპველი იქნებოდა ეკლესიისთვის, რომლის არსებობაც მთლიანად ჩაიხშობოდა და აგრეთვე დამდუპველი იქნება სახელმწიფოსთვის, რომელსაც ამგვარად სულიერი შთაგონების მნიშვნელოვანი ელემენტი მოაკლდებოდა.

კონსტიტუცია არ განავრცობს დიალოგის ამ ასპექტს, თუმცა მასში მკაფიოდაა ნათქვამი: “ეკლესიას ყველაზე მეტად ახარებს საყოველთაო სიკეთის მსახურება და თავისუფლად განვითარების შესაძლებლობა ნებისმიერი რეზიმის დროს, რომელიც პატივს სცემს პიროვნებისა და ოჯახის ძირეულ უფლებებს და აღიარებს საერთო სიკეთის საჭიროებას”. ხოლო ტექსტში ათეიზმის შესახებ ნათქვამია: “მორწმუნეთა სასარგებლოდ ეკლესია იცავს არსებით თავისუფლებას, რათა მათ ამ სამყაროშიც შეძლონ ღმერთის ტაძრის შენება”. აქ კრება მკაფიოდ აცხადებს თავის სურვილს, ეკლესიასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა არა უფლების, არამედ მსახურების კუთხით წარმართოს. “ეკლესიას ძალიან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება შეუძლია სხვადასხვა ადამიანურ საზოგადოებებსა და ერებს შორის, თუკი ამ უკანასკნელთ ექნებათ

მისი ნდობა და რწმენა და რეალურად აღიარებენ მის ჭეშმარიტ თავისუფლებას თავისი მისის „შესრულებასთან მიმართებაში”. აქ თვალსაჩინოა აგრეთვე სურვილი, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობათა ეს ურთულესი საკითხი არ გამხდარიყო განხილვის საგანი იმ დროს, როდესაც ეს ურთიერთობები მძაფიო განვითარებას განიცდიდნენ. მაგრამ იმის მტკიცება, რომ ამგვარი მიდგომა ნიშნავს ეკლესიის მხრიდან საკუთარი უფლებების დაცვაზე უარის თქმას და მის წინაშე სახელმწიფოს ვალდებულებათა ხაზგასმას, ჩემი აზრით, კრების განზრახვებთან შეუსაბამოა.

ნამდვილი მიზეზი, რის გამოც ეს არსებითი პრობლემა არ იქნა განხილული კონსტიტუციაში “Gaudium et Spes” ისაა, რომ ეს პრობლემა იქცა საგნად საგანგებო დეკლარაციისა რელიგიური თავისუფლების შესახებ (Dignitatis humanae, 7.12.1965), რომელიც იმავე კრებამ გამოაქვეყნა. დეკლარაცია არ ეთმობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობათა განხილვას, მასში უფრო ზოგადადა განხილული რელიგიურ საზოგადოებასა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საკითხი. დეკლარაციის მთავარი თემაა არა ეკლესია, როგორც ადამიანის მისი ესჭატოლოგიური დანიშნულებისკენ წარმმართველი და მეგზური, არამედ რელიგია, როგორც კულტურის არსებითი ნაწილი, რადგანაც ის არსებითი ნაწილია ადამიანისა, ვინც თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ღმერთთან დიალოგშია ჩამდებლი. ამ თვალსაზრისით რელიგია ნაწილია საზოგადო სიკეთისა, რაზეც სახელმწიფოა პასუხისმგებელი. ეკლესია დახმარებასა და თავისუფლებას ითხოვს სახელმწიფოსგან არა იმიტომ, რომ ჭეშმარიტ რწმენას წარმოადგენს, არამედ ადამიანის უფლების სახელით, იქნიოს რელიგია და შეძლოს მისი საჯაროდ აღსარება.

ეკლესიის სამყაროსთან ის დიალოგი, რომელიც აქამდე განვიხილეთ, ეხებოდა მთლიანი რეალობის განსხვავებულ სფეროთა შორის დამოკიდებულებას, რაც იმავდოულად განსხვავებასა და თანხვედრას გულისხმობს. ეს დიალოგი არსებობს იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ეკლესიას, როგორც ინსტიტუტს, აქვს განსაზღვრული ფუნქცია და დგას სხვა, საკუთარ ფუნქციათა მქონე ინსტიტუტთა წინაშე. სამყაროში ყველა ადამიანი რომ ქრისტიანი იყოს, ეს დიალოგი ამ შემთხვევაშიც იარსებებდა. ის ძალაშია როგორც ქრისტიანობის, ისე პლურალიზმის პირობებში. ეკლესიასა და კულტურათა შორის დიალექტიკა, ეკლესიასა და საერო ხელისუფლებათა შორის დამოკიდებულებები, მიწიერი ქალაქისა და ზეციური ქალაქის მოწყობა თვით რეალობის სტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემებია. სოციოლოგიური თვალსაზრისით ეს დიალოგი ინსტიტუტთა შორის ვლინდება, მაგრამ ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ის ინდივიდთა შინაგან სამყაროში ხორციელდება, იმ განსხვავებულ სფეროთა მიზეზით, რომლებშიც მონაწილეობენ ინდივიდები.

კონკრეტულ რეალობაში ამ სახის დიალოგი რთულდება სხვა სახის დიალოგის მიზეზით, რომელსაც, ამჯერად, ადგილი აქვს ეკლესიასა და სოციოლოგიურ ერთეულებს შორის, რომლებიც, რეალურის ტოტალურ განმარტებათა სახით, მისსავე სივრცეში უგზავნიან გამოწვევას ეკლესიას. ეს ისეთი დიალოგია, რომელმაც შეიძლება არ იარსებოს, რომელიც მუდამ არ არსებობს, მაგრამ რომელიც ფაქტობრივად მოიძიება შემთხვევათა უმრავლესობაში და განსაკუთრებით – თანამედროვე სამყაროში. ის

განისაზღვრება არა როგორც ურთიერთდამატებითობა, არამედ როგორც დაპირისპირება და ძირეულად განსხვავდება იმ დიალოგისგან, რომელზეც აქამდე ვისაუბრეთ. იდეოლოგიათა პლურალიზმი, რომელსაც ის წარმოადგენს, სრულიად განსხვავდება კულტურათა პლურალიზმისგან. ეს უკანასკნელი შექმნის რეალობის შემადგენელი ნაწილია, პირველი კი არა. საწინააღმდეგოს მტკიცება იქნებოდა ჭეშმარიტების არსებობის უარყოფა, რადიკალურ რელატივიზმში ჩავარდნა, ეკლესიისადმი მინდობილი იმ საბადოს ღალატი, რომლის თავის ნებაზე განკარგვაც მას არ შეუძლია.

წინამდებარე ნარკვევი მიზნად არ ისახავს იმ ფორმათა განხილვას, რომლებსაც მოიცავს ეს დიალოგი, მაგრამ ჯგუფები, რომელთაც ეკლესია ხვდება, აგრეთვე არიან ამ სამყაროს, ანუ დღევანდელი კაცობრიობის ნაწილი. ეკლესია მათთანაც აუცილებლად ამყარებს ურთიერთობას, და ამ დროს მას მხოლოდ იმ დადებით ელემენტებთან როდი აქვს შეხება, რომელთა შესახებაც აქამდე გვქონდა საუბარი და რომლებსაც ის ემსრობა, არამედ აგრეთვე უარყოფით ელემენტებთანაც, რომლებსაც უნდა დაუპირისპირდეს. ცოდვით წაბილწული სამყაროს კონკრეტულ რეალობაში დიალოგი მხოლოდ თანხმობის გამოხატვაში კი არ მდგომარეობს, ის აგრეთვე უარის თქმასაც გულისხმობს. თუკი დღევანდელ სამყაროში მრავლადაა ასპექტები, რომლებსაც ეკლესია იღებს, ამავე დროს ის ისეთ ელემენტებსაც მოიცავს, რომელთაც ეკლესია უარყოფს. ეს უარყოფა ეკლესიის მისიის არსებითი ნაწილია, რაც ერთდროულად განხორციელება და სხნა, მიღება და გამოსწორებაა, აღმოცენებული იმავე სიყვარულიდან, რომელიც, როგორც წმ. პავლე ამბობს, “არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს” (1კორ. 13,6).

სამყარო აქ ახალი მნიშვნელობით იგულისხმება, რომლის შესახებაც საუბრობს პაპი პავლე VI ენციკლიკაში “Ecclesiam suam”: “თუ ეკლესია სულ უფრო მკაფიო თვითცნობიერებას იძენს და თუ ის ცდილობს, განვითარდეს ქრისტეს მიერ მისდამი მიცემული ნიმუშის შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ეკლესია მკვეთრად გამოირჩევა ადამიანური გარემოსგან, რომელშიც ის ცხოვრობს, ან რომელსაც უახლოვდება. სახარება ამგვარ განსხვავებას გვაგრძნობინებს, როცა საუბრობს “სამყაროზე”, კაცთა მოდგმაზე, რომელიც გულუბრყვილო ოპტიმიზმით აღაზევებს საკუთარ თავს და სჯერა, რომ მისთვის საკუთარი ძალებიც კმარა”. (18) ამ შეთხვევაში აშკარად საუბარია “სამყაროზე” იმ მნიშვნელობით, რომელსაც ხშირად მიმართავენ პავლე და იოანე, ანუ კაცობრიობაზე, რომელიც ქრისტეს ჭეშმარიტების თუ ღმერთისადმი მორჩილების მიღმა იმყოფება.

ამ ჯგუფთა მიმართ შეიძლება დამყარდეს როგორც დაპირისპირების, ისე გულგრილობის დამოკიდებულება. მაგრამ პავლე VI განმარტავს, რომ სასურველია, დიალოგს მივანიჭოთ უპირატესობა. ასეთ შემთხვევაში რა თეოლოგიური საფუძველი ექნება მას? აქ ორი ასპექტია ხაზგასასმელი. ერთი მხრივ, დიალოგის არსებობისთვის საჭირო ორი ძირეული ნიშანი კვლავაც ურთიერთობა და თავისუფლებაა. დიალოგი ურთიერთობის არსებობას გულისხმობს. ცხადია, იმ ადამიანურ საზოგადოებებში, რომლებთანაც აქვს დიალოგი ეკლესიას, მისთვის ყველაფერი როდია უცხო. ეკლესიას მრავალი ელემენტი აქვს მათთან საერთო: ყველა ადამიანთან, მათ შორის ათეისტებთან, ეკლესიას მატერიალური პროგრესი აქვს საერთო; ეკლესია იზიარებს მრავალი

ადამიანის ზრუნვას იმისთვის, რომ ცივილიზაციის განვითარება პიროვნების სასიკეთოდ იქნას მიმართული. სხვადასხვა კონფესიის ყველა სასულიერო პირთან ერთად ეკელსია იზიარებს ზრუნვას საზოგადოებაში დათის კულტისთვის საკადრისი აღგილის დაცვაზე; ყველა ქრისტიანთან ერთად ეკლესია იზიარებს კაცობრიობის ესქატოლოგიური დანიშნულების ოწმენას. როგორც ვხედავთ, ეკლესია ურთიერთობს და თანამშრომლობს სხვადასხვა საზოგადოებებთან. ამ დიალოგის საყრდენი ის დადებითი სიმდიდრენია, რომელთაც ეკლესია ხვდება სხვა ასპექტებით მასთან უთანხმოებაში მყოფ საზოგადოებაში.

მეორე მხრივ, და ეს ნიშანიც სახასიათოა ნებისმიერი ტიპის დიალოგისთვის, საზოგადოებებთან თავის ურთიერთობაში ეკლესია პატივს სცემს თავისუფლებას, ანუ გმობს იძულებას. რელიგიური თავისუფლების შესახებ დეკლარაცია განსაკუთრებით განიხილავს ამ თემას, თუმცა დიალოგთან დაკავშირებით ის განიხილება აგრეთვე ენციკლიკაში “Ecclesiam suam”. პავლე VI უბრუნდება “ხსნის დიალოგს”, ანუ დიალოგს დმერთსა და ადამიანს შორის: “ხსნის დიალოგს არავინ დაუვალდებულებია ფიზიკურად, მიეღოთ ის: ეს სიყვარულის უზარმაზარი მოთხოვნა იყო”. და შემდეგ: “ამგვარად, ჩვენი მისია, მიუხედავად იმისა, რომ უსათუო ჭეშმარიტებისა და აუცილებელი ხსნის გამოცხადებაა, არ აღიჭურვება გარეგანი იძულებით, არამედ მხოლოდ ადამიანური აღზრდის, შინაგანი დარწმუნების, საერთო საუბრის სამართლიანი გზებით წარიმართება”. თეოლოგიური თვალსაზრისით ეკლესია აქაც თვით დმერთისმიერი გზიდან იღებს შთაგონებას.

თუმცა, სწორედ იმიტომ, რომ ხსნის დიალოგზეა საუბარი, ანუ სწორედ იმიტომ, რომ ეკლესია ამ შემთხვევაში მხოლოდ დმერთსა და კაცობრიობას შორის დიალოგის მსახურია, ის გახსნილია ყოველივე სამართლიანისა და კეთილისთვის, რაც არის იმ საზოგადოებებში, რომლებთანაც მართავს დიალოგს, მაგრამ ამავე დროს უკომპრომისოდ უკუაგდებს ყოველივე იმას, რაც მათში მცდარი და დანაშაულებრივია: “თანამომმეთა დახმარებაზე ზრუნვა ჭეშმარიტების შესუსტებად და შემცირებად არ უნდა გადაიქცეს. ჩვენი დიალოგი არ შეიძლება იყოს სისუსტე ჩვენი რწმენისადმი ვალდებულებასთან მიმართებით. მოციქულობა ვერ მორიგდება ბუნდოვან კომპრომისთან აზროვნებისა და მოქმედების პრინციპთა თაობაზე, რომელთა მიხედვითაც უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენი ქრისტიანული აღსარება. ირენიზმი და სინკრეტიზმი საბოლოო ჯამში სკეპტიციზმის ფორმებით დმერთის სიტყვის ძალასა და შინაარსთან შედარებით, რომლის ქადაგებაც გვსურს.”

ესაა ერთ-ერთი სახასიათო ნიშანი ეკლესიის დიალოგისა ადამიანთა ჯგუფებთან, რომლებთანაც ამყარებს ის ურთიერთობას დროთა განმავლობაში. ეკლესია ამ ჯგუფთა სივრცეში არ უნდა მოექცეს, რადგანაც იმავე წესრიგს არ მიეკუთვნება. მათვების რთული იქნება ეკლესიის ქცევის მიღება: იქიდან გამომდინარე, რომ ეკლესია ჭეშმარიტების ფლობის პრეტენზიას აცხადებს, მას იმას უსაყვედურებენ, რომ არ იღებს ყოველი ადამიანური დიალოგის კანონს, რომელიც სწორედ ჭეშმარიტების ძიებაა. დიალოგში ისინი პროსელიტიზმის დაფარულ ფორმას დაინახავენ. ეკლესია პატივს სცემს დიალოგის კანონს იმდენად, რამდენადაც დიალოგისთვის არსებითია თავისუფლების პატივისცემა. მაგრამ დიალოგის სულისკვეთებას სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ის, რომ

ერთ-ერთი მოსაუბრე იმას ფლობდეს, რასაც მეორე არ ფლობს. ასე ხდება ღმერთის ადამიანთან დიალოგში, და აგრეთვე ეკლესიასა და სამყაროსთან დიალოგში, რამდენადაც ეკლესია მხოლოდ ღმრთის სიტყვის მსახურია.

**მამა ივან (ნინო) მარტინი**